# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 17 ნოემბერი 2005 №265 (2588) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია 2006 დაკომპლექტდა

გერმანია
უკრაინა
ჰოლანდია
პოლონეთი
ინგლისი
ხორვატია
იტალია
პორტუგალია
შვედეთი
სერბეთი
საფრანგეთი
არგენტინა
ბრაზილია
ეკვადორი
პარაგვაი
ანგოლა
ტოტ დივუარი
ტოგო
განა
ტუნისი
იაპონია
ირანი
კორეა
საუდის არაბეთი
აშშ
მექსიკა
კოსტა რიკა
ესპანეთი
შვეიცარია
ჩეხეთი
ავსტრალია
ტრინიდადი

ფინალური ტურნირის წილისყრა 19 დეკემბერს ლაიპციგში გაიმართება

# მიჭინგი ვაკეში ნოემბერი ხალხისაა

## შევარდნაძის მერე ამდენ ქართველს არავისთვის უთქვამს

# ნადი!

საქართველო — იორდანია 3:2. გუშინ „მიხეილ მესხის“ ტრიბუნებზე უფრო საინტერესო რამ ხდებოდა, ვიდრე მოედანზე

გადრი ქეთილაძის ფოტო

# გამოჭრილი რონალდინიო

ესპანური გაზეთის „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, „ფრანს ფუტბოლის“ ლაურეატი ანუ 2005 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა ბრაზილიის ნაკრებისა და ესპანური „ბარსელონას“ ვარსკვლავი რონალდინიო. ამ განცხადებით „ელ მუნდო დეპორტივომ“ განამტკიცა ხმა, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში მეტად დაჟინებით ტრიალებდა ევროპაში. შეგახსენებთ, რომ რონალდინიო „ბარსელონაში“ 2003 წლიდანაა. იგი ესპანეთის ჩემპიონატში ფრანგული „პარი სენ ჟერმენიდან“ გადავიდა.

იმავე წყაროზე დაყრდნობით, მეორეა „ჩელსის“ ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების გმირი, ლივერპულელი სტივენ ჯერარდი მესამე ყოფილა.

საქმეში ჩახედულ ადამიანთა თქმით, თუკი რონალდინიოს მონაწილეობით ბოლოხანს გავრცელებულ ვიდეოჩანაწერს — რომელშიც ბრაზილიელი ზედიზედ ოთხჯერ არტყამს ბურთს ძელს — იმთავითვე დაეტყო, რომ ყალბი იყო, ამ ცნობას ნამდვილის იერსახე აქვს. ამბობენ აგრეთვე, რომ თავად „ფრანს ფუტბოლმა“ დეკემბრის ერთ-ერთი ნომრისთვის ფრენკ ლამპარდისგან ინტერვიუ გზა-კვალის ასარევად აიღო.

საბოლოოდ კი, შეგახსენებთ, ყველაფერი 28 ნოემბერს პარიზში გაირკვევა, როდესაც ფრანგული ჟურნალი თავად დაასახელებს ევროპული მასმედიის, მათ შორის „სარბიელის“ გამოკითხვის შედეგებს.



# ამხანაგური მატჩი

ბადრი კეთილაძის ფოტო

პლაკატი წარწერით „დარსაძე წაეთრიე“ სამართალდამცავებმა დროულად აღკვეთეს

თბილისი. 16 ნოემბერი. 19 საათი. მიხეილ მესხი. 8 000 (ტევადობა 25 000)

## საქართველო 3:2 იორდანია

1:0 დემეტრაძე (4), 1:1 მ. სალიმი (37), 1:2 საადი (60), 2:2 დემეტრაძე (64), 3:2 არველაძე (75)

| | |
|---|---|
| საქართველო: რევიშვილი, მეავანაძე, კანდელაკი, კალაძე, ხიზანიშვილი, განუგრავა (ბურდული 81), კანკავა, გოგუა (კვირკველია 74), მუჯირი (ჯაკობია 71), დემეტრაძე (დარსელია 78), არველაძე (აშვეთია 81) სათადარიგონი: სტურუა; ღონღლაძე | იორდანია: ლ. სალიმი, საადი, აჰმადი, იასენი, იბრაჰიმი, მაჰმუდი (კეშეკი 84), შქასემი, აქელი, შელბაში (ჰაიელი 71), მ. სალიმი (ანასი 89), აბოალიჰი სათადარიგონი: ტაიები; ჩაზი, ალშუბი, ჰამესი, რომეჰი, კაჰტერი |
| მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე | მწვრთნელი: მოჰამედ ელ გოჰარი |

გაფრთხილება: გოგუა (54), დემეტრაძე (69), აბოალიჰი (79), კანკავა (90)

# ხალხი: წადი!

კობა ინასარიძე

**საქართველოს** ბედკრულმა ნაკრებმა გაიოზ დარსაძის თავკაცობით შინ პირველად ითამაშა ღია ტრიბუნის წინ და მტრისას, რაც ამ ტრიბუნის ორმა-სამმა სავსე სექტორმა გაიოზ დარსაძეს შეურაცხყოფა მიაყენა. დარსაძე, წადი! — მთელი მეორე ტაიმი ანუ 45 წუთი ხალხი არ გაჩერებულა. დარსაძევ, შენ ჩვენი მტერი ხარ — ესეც ისმოდა ტრიბუნიდან, მაგრამ რად გინდა, ნაკრების მწვრთნელი მუშაობას განაგრძობს და ხალხის აზრი არც კი აინტერესებს.

იორდანიასთან მატჩი, ისევე, როგორც ბულგარეთთან შეხვედრა, საფეხბურთო საქართველომ ტელევიზიითაც ნახა, მწვრთნელ გაიოზ დარსაძის გუნდის ტექნიკურ-ტაქტიკურ მოქმედებებზე კომენტარს, როგორც ბულგარეთთან თამაშის შემდეგ, არც ამჯერად გავაკეთებთ. მიგვაჩნია, რომ მწვრთნელ დარსაძის გუნდი ამას არ იმსახურებს და იმიტომ...

საქართველომ ისეთ უსახურ გუნდთანაც კი, როგორიც იორდანია ყოფილა, ახალი, საინტერესო და საიმედო ვერაფერი გვიჩვენა და ისევ და ისევ ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა თუ დაეხმარა დარსაძეს კიდევ ერთი სამარცხვინო შედეგისგან თავის დაღწევაში.

გუშინ იყო ის, რომ გაიოზ დარსაძის დამოძღვრილი საქართველოს ნაკრები ძალიან დიდ უბედურებას გადაურჩა. ქომაგი (მეორე ტაიმი შეგნებულად მათ შორის გავატარე) პირველ ყოვლისა მწვრთნელის ფიზიკური შეურაცხყოფისთვისაც მზად იყო და ამისკენ ერთი-მეორეს მოუწოდებდნენ, მაგრამ ჯერ ანგარიშის გამთანაბრებელი, მერე კი მომგები გოლის შემდეგ დამშვიდდნენ. თუმცა ვაი ასეთ სიმშვიდეს, როცა ნამატჩევს ისევ იყო მოთხოვნა — გაიოზ, წადი!!!

წადით, ბატონო გაიოზ — კიდევ ერთხელ გთხოვთ ჩვენ, ისინი, ვინც ცხოვრებაში კეთილ სალამს გეუბნებით; წადით, რადგან აშკარაა, ნაკრების თავკაცობა თქვენთვის ძალიან მძიმე ტვირთია; წადით, რადგან თქვენ ხალხს აბრუებთ; წადით, რადგან ხალხმა თქვენი გუნდი ვერც ამჯერზე ნახა გუნდად; წადით, რადგან ამას ხალხი ითხოვს...

გუშინდელი მოგება ფუჭია, რადგან ერთხელაც დაგვარწმუნეთ, რომ თქვენ და თქვენეულ ნაკრებს, სერიოზულს ვინ ჩივის, ნორმალური ფეხბურთის თამაში არ შეგიძლიათ. ტერაქტებით დაზარალებულ იორდანიას კი, იმედია, მადლობას ეტყოდით, აქ რომ ჩამოვიდა და ასეთმა უსუსურმა გუნდმაც კი რამდენიმე ეპიზოდში საფეხბურთო გაკვეთილი ჩაგიტარათ.

ისეთი მოგებისა რა ვთქვით, როცა ეროვნული გუნდი თვისტომ ქომაგს გასახდელისკენ გაურბის, აქაოდა, თავში ქვა არ მოგვხვდესო...

ბატონო გაიოზ, თქვენ ხალხს უკვე აღიზიანებთ!

ბადრი კეთილაძის ფოტო

ალექსანდრე ფალავანდიშვილის ფოტო

იორდანიელებს შოთა არველაძემ (№11) და გიორგი დემეტრაძემ (№10) გაუტანეს

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. პლეი ოფი. საბასუხო მატჩები

| | |
|---|---|
| ბაჰრეინი 0:1 *ტრინიდადი* (1:1) | *ჩეხეთი* 1:0 ნორვეგია (1:0) |
| თურქეთი 4:2 *შვეიცარია* (0:2) | სლოვაკეთი 1:1 *ესპანეთი* (1:5) |

## 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი U-21. პლეი ოფი. საბასუხო მატჩები

| | |
|---|---|
| ხორვატია 1:2 *სერბეთი* (1:3) | ბელგია 1:3 *უკრაინა* (3:2) |
| *დანია* 3:1 რუსეთი (1:0) | *პორტუგალია* 2:1 შვეიცარია (1:1) |
| *ჰოლანდია* 2:0 სლოვენია (0:0) | |

## ამხანაგური მატჩები

იაპონია 1:0 ანგოლა
კორეა 2:0 სერბეთი
სირია 0:3 საამირეოები
ყატარი 0:3 არგენტინა
რუმინეთი 3:0 ნიგერია
ეგვიპტე 1:2 ტუნისი
კვიპროსი 1:0 უელსი
ლუქსემბურგი 0:1 კანადა
საბერძნეთი 2:1 უნგრეთი
პოლონეთი 3:1 ესტონეთი
იტალია 1:1 კოტ დივუარი

## ინგლისი

ასოციაციის თასი
I ეტაპი. გადათამაშება

ჩესტერფილდი 1:2 *ლეიტონი*
*ბოსტონი* 4:1 სუინდონი
*ბარტონი* 1:0 პიტერბრო
*ოლდჰემი* 4:0 ჩეისთაუნი
*ოქსფორდი* 3:0 ისტბორნი

## პოლონეთი

თასის III ფინალი. საბასუხო მატჩი

რადომიაკი 0:2 *ლეხი* (0:2)

## პრესკონფერენცია

„შაბათის შოუს“ ერთ-ერთმა მონაწილემ, გოჩა თანდარაშვილმა პრესკონფერენციაზე სიტყვა ითხოვა, შემდეგ ხუთთეთრიანი მონეტა მოიმარჯვა, ფედერაციის უცხოელი მწვრთნელის მოსაწვევად ფული არ აქვსო და, მონეტა ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაც გაიოზ დარსაძეს დაუდო მაგიდაზე — ამით მაინც შევეხიდები საქმესო...

არც პრესკონფერენციის ბოლო იყო ჩვეულებრივი — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ნუთბუქიდან რევაზ თაბუკაშვილის ლექსი წაიკითხა, თაბუკაშვილის ანდერძი პატრიოტზე მოტივებზე.

— მატჩისას გულშემატკივრები უცენზურო სიტყვებით მოგმართავდნენ და ვადადგომისკენ მოგიწოდებდნენ — ამის შემდეგ კიდევ აპირებთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას?

— მთლიანად თამაშში ვიყავი ჩართული და გარშემო რა ვითარება იყო, ვერ გეტყვით. ჩვენ გვაქვს საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროექტი და ამ გზიდან გადახვევას არ ვაპირებთ — იყო დარსაძის პასუხი.

ბატონმა გაიოზმა ნამატჩევს სხვაც ილაპარაკა: იორდანია კარგი სპარინგი გამოდგა, არის ნაკლოვანებები ჩვენი გუნდის თამაშში და ისინი უნდა გამოვასწოროთ; შოთა არველაძე გუნდის ნამდვილი ლიდერია; რაც ნაკრებს ჩავუდექი სათავეში, 37 ფეხბურთელი გამოვცადეთ, რაჯა სუსტი წერტილები დავძლიოთ; ფრანკო ფერარი მარჩელო ლიპისა და ფაბიო კაპელლოს გარდა ყველა ცნობილ იტალიელ მწვრთნელს ანათლებდა და ა.შ.

მერე ახალკაცის ჯერი დადგა, ვინც დაგვპირდა, ღია კამათის საგანი გახდება, თუ რა ხედვა აქვს ფედერაციას საქართველოში ფეხბურთის განვითარებაზეო. ახალკაცმა ისიც გვითხრა, ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელი გარეულან რბილი ჩანს, მაგრამ მყუდრო სულაც არ არისო. ახალკაცისგან ისიც შევიტყვეთ, რომ იორდანიას მალე იქითაც ვესტუმრებით, თუმც რიდის, ჯერ დასაზუსტებელიაო.

და რატომ ვეთამაშეთ ძლიერ ბულგარეთს? იმიტომ, რომ თუ რისკიანი ნაბიჯები არ გადავდგეთ, ქართულ ფეხბურთში არაფერი გვესაქმებაო — გვითხრა ახალკაცმა.




ბაბრი კეთილაძის ფოტო

# დიდება თბილისის ბაზრობას

**დაბეჯითებით** შემიძლია ვთქვა: თუ სადმე ფეხბურთი იციან და გული მართლა შესტკივათ, ეს თბილისის ბაზრობაა. ერთხელ და ორჯერ რომ მომხდარიყო, კატეგორიულად განცხადებას ვერ გავბედავდი, მაგრამ ბაზრობაზე სიარულის სტაჟი მაქვს და ხშირად მინახავს — ჩაუვლი მოვაჭრეთა ჯგუფს და ისეთ ზუსტ შეფასებას მოჰკრავ ყურს, რომ ხვდები, ამის მთქმელი ზოგადად გონიერი ადამიანი კი არა, ფეხბურთის ალღოს მქონე გონიერი ადამიანია. ერთი სიტყვით, ქება და დიდება თბილისის ბაზრობას, მაგრამ ის, რაც გუშინ შევამჩნიე და რასაც ფოტოზე ხედავთ, ადრე ნამდვილად არ მენახა. ეს არის თითქოსდა ჩვეულებრივი დახლი, რომელიც მის პატრონს თვითგამოხატვის ასპარეზად, სოციალურ ფენომენად, აქციად, სულ სხვა დონისა და გაქანების რაღაცად ექცია. აქ მთავარი სწორედ ისაა, რაც ფოტოზე იკითხება და ამიტომ ჩვენი და დახლიდარის საუბრით თავს არ შეგაწყენთ. საუბარი ხომ ყველას შეგვიძლია, მით უფრო ხანმოკლე:

— ირონიით გაგიკეთებიათ...

— ეს მარტო ირონიაა?

— რაც არის, გადასარევია.

— საიდან ხართ?

— „სარბიელიდან“

— მერე მაგით ეშველება რამე?

— აბა, რა ვიცი.

— ვნახოთ ერთი, დღეს რასაც იზამენ...

**პაპუნა კედია**




ალფონს ოფრანელის ფოტო

**geo_geo_fan@hotmail.com**

# ბნელი მომავლის პერსპექტივა

*სიმართლე გითხრათ, იორდანიასთან მატჩის წინ მკითხველთა აქტიურობას არც ველოდით. გულშემატკივრებს თამაშის მერე უფრო უყვართ მონერა და, იმედი გვაქვს, ხვალინდელი ფოსტა უფრო მსუყე იქნება...*

**R.XATIASHVILI**: ერთი რაღაც მაინტერესებს: რას გულისხმობს ბატონი გაიოზი ახალი კურსის არჩევაში. ფეხბურთელების შერჩევაზე არ იქნება საუბარი იმიტომ, რომ იგივე ხალხი გამოიძახა, ვისაც მანამდე იძახებდნენ სხვა მწვრთნელები. თუ სათამაშო ტაქტიკას გულისხმობს, მაშინ დაგვრხევია და ეგ არის. მომავალშიც 6-6 ბურთი უნდა გავუშვათ ხოლმე თითო თამაშში. ჰოდა, ეს ჩემი შეკითხვა გადაეცით თუ შეიძლება: რაში გამოიხატება მათ მიერ არჩეული ახალი კურსი.

მეორე: ფეხბურთელი ქათამი არ არის, 21 დღეში გამოიჩეკოსო, ბატონი ნოდარი ამბობს. თუ ეგ კალაძეს, არველაძეს, კობიაშვილს, ხიზანიშვილს, დემეტრაძეს, იაშვილს, გახოკიძეს და სხვებს გამოსაჩეკ ფეხბურთელებად თვლის, მაშინ „მალადეც“ მაგას.

მესამე: გაგვაგებინონ, როდის აქვს დედლაინი გაიოზ დარსაძეს, ანუ როდის არის ის თარიღი, როცა ვიტყვით, რომ მან თავისი მისია ვერ შეასრულა და მის მიერ არჩეული კურსი (თუ ეს კურსი საერთოდ არსებობს) მცდარი იყო.

მადლობა.

თქვენ მადლობა კითხვებისთვის, ალავერდს კი ბატონ ნოდართან და ბატონ გაიოზთან გადავდივართ, თუმცა დიდი იმედი არ გვაქვს, რომ პასუხებს მივიღებთ. მეორე მხრივ კი, ფედერაციის პრეზიდენტს აბსოლუტურად ვეთანხმებით: ფეხბურთელი ქათამი არ არის! ოღონდ არც გულშემატკივარია ქათამი, თვალში ნაცრის შეყრას ვერ ხედავდეს.

**LIKVIDATOR MBG**: გაუმარჯოს „სარბიელს“! დიდი ხანია, აღარ მომიწერია, თუმცა მოსაწერი არც არაფერი იყო. გადავწყვიტე, დღეს მოწერა და აი, რატომ: მგონია, დღეს საქართველო ფრეს ითამაშებს, თან 1:1 და პირველ გოლს ჩვენ გავიტანთ, მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე კი გაგვითანაბრებენ. მერე წავა მოედანზე ლამაზად მოსიარულე ხალხის (არა ფეხბურთელების) ფეხბურთი. ვაი ჩვენს პატრონს (ფართო გაგებით).

კარგი ხალხი ხართ „სარბიელში“.

მიხვდებოდით, რომ ეს წერილი გუშინ, იორდანიასთან მატჩამდე მოვიდა და, როცა მასზე კომენტარს ვაკეთებ, მატჩი დაწყებული არ არის. საინტერესოა, გამართლდა თუ არა ლიკვიდატორის პროგნოზი, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ავტორის განწყობაა, აღარაფრის რომ არ სჯერა.

**SIBELES**: გამარჯობათ სარბიელელებო.

აღარ ვაპირებდი თქვენ შენუხებას, მაგრამ მოთმინება დავკარგე ყველაფერ იმის შემდეგ, რაც ამ ბოლო დღეებში ვნახე და მოვისმინე.

სიბნელემ, სიბნელემ დაისადგურა. არც ვიცი, საიდან დავიწყო.

საფეხბურთო ნიუანსებზე საუბარს აქ არ მოვყვები, აზრი არა აქვს. მეტისმეტია უკვე ის, რაც ბულგარეთთან დაგვმართეს ქართული ფეხბურთის მამებმა. მეტისმეტია და არ უნდა შერჩეთ, თავი აღარ უნდა მოვატყუებინოთ და სანამ უკვე უფსკრულში გადაჩეხილ ქართულ ფეხბურთს მიწას არ მიაყრიან ეს თვითკმაყოფილი... ბატონები (კიდევ ვცდილობ თავი შევიკავო), სათქმელი ბოლომდე უნდა ვთქვათ. ეს, ისევ და ისევ (უკვე მერამდენედ), პირველ რიგში თქვენ უნდა გააკეთოთ სარბიელელებო, მით უმეტეს, რომ საფეხბურთო ამბავში იმათზე მეტად კომპეტენტურები ხართ, ვისაც უბრალოდ ევალება, რომ ასეთები იყვნენ და არ არიან! არ არიან, რადგან როგორც ჩანს მათთან ბნელა! ახალკაცთან გულშემატკივრების ინტერვიუში ნოდარმა, ძოძუაშვილის დანიშვნა წარსულში დაბრუნებაა და ეს არ გვინდაო. ეს, რასაც ახლა ვხედავთ, რა არის ნოდარ, ნათელი მომავლის საფუძველი? არა, ბნელი მომავლის პერსპექტივა!

ბულგარელებმა, ფეხბურთელებიან მწვრთნელებიანად რომ მასხრად აგვიგდეს, ნუთუ ამან მაინც არ იმოქმედა შენზე და არ დაგარწმუნა შენი შეხედულებების უაზრობასა და უპერსპექტივობაში? ან ამ შენ მეგობარ გაიოზს რას ერჩი, რატომ „აყვარებ“ ასე ხალხს ამ კაცს?

... და შენც, გაიოზ, რომ დაგიჩემებია, აღებულ კურსს არ გადავუხვევთო, ვერ ხედავ ამ კურსს საით მივყავართ? ეს ნაკრები შენი საკუთრება რომ არაა, იმედია, ეს მაინც იცით და ვისიცაა, ისინი ყველა გულნატკენნი, შეურაცხყოფილნი და უკვე იმედგადაწურულნი რომა არიან, ვერ ხედავ?

მოკლედ, ან კეთილი ინებეთ და, წესიერი უცხოელი მწვრთნელის ფული მოიძიეთ, ან ქართველ მწვრთნელთა შორის საუკეთესო ჩამოიყვანეთ (იცით თქვენ ვინც და არ დაგვიწყო თუ კაცი ხარ ლიზენცია არა აქვსო, სასაცილოა), და თუ არც ერთი შეგიძლიათ და არც მეორე გინდათ, ადექით და წადით! წადით! წა-დით!!!

ბოლოს კი მაინც მინდა ბოდიში მოგიხადოთ (ზრდილობის ამბავია), შენობით რომ მოგმართეთ და სახელებით მოგიხსენიეთ, მაგრამ თქვენ ჯერ პატივისცემა არ დაგიმსახურებიათ ჩვენგან. არა მხოლოდ იმიტომ, რომ უთავმოყვარეოდ აგებთ თამაშს თამაშზე, უფრო იმიტომ, რომ ყოველივე ამის შემდეგ თვალებში ნაცარს გვაყრით და ერთი ძალიან ცნობილი და ავადმოსაგონარი კაცივით გვეუბნებით, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება და ყველაფერი კარგადაა.

P.S. ისე, შეიძლება ვცდები და მართლა აქვს ნაკრებს კარგი მომავალი ამათ ხელში. აგერ, ბატონო, 6 ბურთი რომ არ გაგვეშვა, ხომ მოვიგებდით 2:0 ბულგარეთში? ესეც ახალკაც-დარსაძისეული პოზიტივი და სინათლე გვირაბის ბოლოს.

დიდი მადლობა „სარბიელს“.

დიდი მადლობა ავტორს. ლიახაც, ბულგარელებს ექვსი რომ არ გაეტანათ, 2:0-ს მოვიგებდით. აი, დეტრაძეს ის პენალტი რომ გაეტანა, თვით ფაზახეთის დიად გუნდს დავამარცხებდით. მაგრამ არც ეს არის ყველაფერი: უკრაინისთვის, თურქეთისთვის, დანიისთვის, საბერძნეთისთვის და ალბანეთისთვის დისკვალიფიკაცია რომ მიეცათ, მსოფლიოს ჩემპიონატზეც გავიდოდით!

**WEB-ოსტატი გუარა**

**geo_geo_fan@hotmail.com**

# შოთა ზიდანმა და რონალდომ დაპატიჟეს

**22 დეკემბერს** დიუსელდორფში საქველმოქმედო მატჩია — მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები ბურთს იმად გააგორებენ, რომ შემოსული თანხა სიღატაკის დაძლევის ფონდს გადაერიცხოს — ზიდანის ნაკრები რონალდოს ნაკრების წინააღმდეგ — პირობითად ასეთი მეტოქეები შეერკინებიან ერთმანეთს.

ამ შეხვედრაში მონაწილეობისთვის მიწვევა მიუვიდა საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ჰოლანდიური „ალკმაარის" თავდამსხმელ შოთა არველაძეს — ეს ინფორმაცია გუშინ შოთამაც დაგვიდასტურა სანაკრებო თამაშის შემდეგ.

**ნიკა ჯორჯაძე**

# გიორგი ქინქლაძე: ხანმოკლე ტრავმა. ხანგრძლივი კონტრაქტი?



**ყაზანის „რუბინი"** რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში იაროსლავლის „შინიკთან" გიორგი ქინქლაძის გარეშე ითამაშებს. ყაზანელთა ქართველი ლეგიონერი ჯერაც მკურნალობს და მისი თამაში არ შეიძლებაო, განაცხადა „რუბინის" ექიმმა.

შეგახსენებთ, რომ ქინქლაძე წინა ტურში მოსკოვის „ტორპედოსთან" შეხვედრისას დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. სწორედ ამ ტრავმის გამო დააკლდა ივი საქართველოს ნაკრებსაც.

ექიმების თქმით, გიორგის ტრავმა საშიში არ არის და ალბათ ერთ კვირაში მწყობრში იქნება. აქვე გეტყვით, რომ „რუბინის" ხელმძღვანელობა ჩვენებურის თამაშით ძალიან კმაყოფილია და უკვე დაიწყო მოლაპარაკება კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე.

**კახა შალამბერიძე**

# ზაალ ელიავა რიგის თავშია

ზაალ ელიავა

ფოტო: ბერაძეთა ოჯახის ფოტოარქივიდან

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ზაალ ელიავა რიგის „სკონტოს" საუკეთესო ლეგიონერად დაასახელეს. ამის შესახებ ლატვიური ვებ-გვერდი „სპორტნიუსი" იტყობინება. ელიავა სეზონის წინ გადავიდა „სკონტოში" და მყის გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა, კიდევ ერთი ქართველი ზურაბ მენთეშაშვილი კი მესამე ადგილზე გავიდა.

„საპრიზოებში" კიდევ ორი ქართველი მოხვდა — მეტალურგსელი ლევან მიქაძე, ვინც ცოტა ხნის წინ ლატვიის საუკეთესო მცველი გახდა, თავის გუნდში ლეგიონერთა შორის მეორეზეა, ისევე, როგორც ვენტსპილსელი ალექსანდრე რეხვიაშვილი.

**კახა შალამბერიძე**

# ალმასკომი ქართულ ფეხბურთს რვა-ათი წლით უკან დახევს

## გულაცრუებული თბილისი ოდიკაძეს ითხოვს

ფოტო: ალექსანდრე ბერაძეთა ოჯახის ფოტოარქივიდან

*ბოლო წლებში „თბილისი" ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ალბათ ყველაზე სიმპათიური გუნდი კი იყო, მაგრამ ახლა ბოლო ადგილზეა — გუნდი მეტწილად გამოუცდელი, ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. რა მოხდება მეორე წრისთვის „თბილისში"? ამ კითხვით დავიწყეთ ინტერვიუ კლუბის ერთ-ერთ დამფუძნებელ მამუკა გუგეშაშვილთან და სხვა თემებსაც გადავწვდით...*

**— ჯერ ისაა გასარკვევი, თუ კლუბისთვის რა პოლიტიკას აირჩევს მისი მთავარი დამფუძნებელი თემურ უგულავა. დღესდღეობით მას გული აქვს აცრუებული ფეხბურთზე, მაგრამ თუ ძველებურად შემოტრიალდა ფეხბურთისკენ, „თბილისი" სხვანაირი იქნება. ერთი ხანობა მეც ავიცრუე გული ყველაფერზე, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ უფეხბურთოდ არ შემიძლია.**

**— გულის აცრუების მიზეზი ისაა, რომ „თბილისში" ჩადებულ ინვესტიციას უკუგება არ მოჰყვა?**

— ჩვენ 1989 წელს დაბადებულ ფეხბურთელებზე ვაკეთებდით აქცენტს, მაგრამ ისინი „ზესტაფონი-2"-მა წაიყვანა. ჩვენსა და „ზესტაფონს" შორის შეთანხმება უკვე მოხდა და არანაირი სადავო საკითხიც არ არსებობს.

**— ამ ფეხბურთელების გარდა „ზესტაფონში" გადავიდა თქვენი საფეხბურთო აკადემიის ერთ-ერთი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი, ვინც ახლა „ზესტაფონი-2"-ის გარდა 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებსაც ხელმძღვანელობს...**

— ჟორჟიკაშვილი ჩვენ არ გაგვიშვია, თავისი ნებით წავიდა.

**— კლუბის გარდა, თქვენ გაქვთ საფეხბურთო აკადემია „ოლიმპი", რამდენიმე მოედანი, ნორმალური ინფრასტრუქტურა, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომში თქვენგან არავინაა...**

— აღმასკომში პრინციპულად არ გვყავს ჩვენი წარმომადგენელი, რადგან ამ აღმასკომის წევრთა 80 პროცენტს უნდობლობას ვუცხადებთ — ეს 80 პროცენტი თითქმის ათი წელია, აღმასკომშია და სხდომაზე აწეული ხელებით შედიან, თავიანთი სიტყვა არ ეთქმით ან ვერ ამბობენ და, ვინც არ უნდა გახდეს ფედერაციის პრეზიდენტი, ყველას სიმპათიას იმსახურებენ. არადა, აღმასკომის წევრები ამტკიცებენ ეროვნული ნაკრების მწვრთნელს და წყვეტენ სხვა ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს, მაგრამ აღმასკომის 80 პროცენტს თავისი ფუნქცია დაკარგული აქვს.

**— დანარჩენ 20 პროცენტზე რას იტყოდით?**

— ეს 20 პროცენტი აღმასკომში ახალი მისულია და მათზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ისე, აღმასკომის ზოგიერთი წევრი ამბობს, თუ ეროვნულ ნაკრების მწვრთნელად გაიოზ დარსაძის კანდიდატურის მხარდაჭერაში შეცდა, ამის აღიარებას არ მოერიდება, მაგრამ განა ასეთი აღიარება საქმეს უშველის?! ასეთი შეცდომა ქართულ ფეხბურთის 8-10 წლით უკან დახევს, თან ეს მხოლოდ ერთ უბრალო შეცდომა არ იქნება. ხოლო თუ მე ყველაფერ ამაში ვცდები, მაშინ მე მოვიხდი ბოდიშს. კარგი იქნება, თუ აღმასკომის წევრები გახდებიან პარლამენტარები ვა, ნაცვლიშვილი, ვალერი გიორგობიანი და დავით კირკიტაძე — ესენი ფეხბურთი უყვართ, არანაირად არ არიან დამოკიდებულნი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაზე და სიმართლის თქმა არ ეშინიათ.

**— „თბილისს" დავუბრუნდეთ — უახლოეს ხანში არანაირი სიახლე არ იქნება?**

— „ოლიმპის" აკადემიაში კიდევ ერთი ხელოვნურსაფარიანი მოედანი მოვაწყეთ, მალე კაფე-ბუხუკებსაც გავხსნით, სადაც „თბილისში" მოთამაშე მოწინავე ფეხბურთელების სურათებსაც გამოვფენთ. „თბილისს" ფეხბურთელებით აუცილებლად გავაძლიერებთ. ძალიან გვინდა, რომ „თბილისში" დავაბრუნოთ დავით ოდიკაძე — ჩვენ ამის თაობაზე თხოვნით მივმართავთ საქართველოს ამავე ორგანოებს, ოჯახებს, თბილისის „დინამოს" და თუ ყველაფერი დადებითად გადაწყდება, ოდიკაძეს „თბილისში" დავაბრუნებთ.

**დავით თავგართქილაძე**

# ირაკლი ბერაია გოლებს ბერავს

**ბოლო** დროს აზერბაიჯანის ჩემპიონატი მთლად მგვავიწყდა — საქართველოს ნაკრების წაგებების გადამკიდე, აბა, რა დროს აზერბაიჯანია. მით უმეტეს, იქაურ ლეგიონერებს გაიოზ დარსაძის ნაკრებში მოხვედრის არანაირი პერსპექტივა არ აქვთ. თუმცა ამ ნაკრების „არჩეული კურსის" გადამკიდე, კაცმა არ იცის, ვის როდის გამოიძახებენ...

ჩვენმა მეზობლებმა მეცხრე ტური ჩაათამაშეს და ერთი „ქართული" გოლიც გავიდა. „გიანჯას" ფორვარდმა ირაკლი ბერაიამ ლენქორანში „ხაზართან" მე-2 წუთზე გახსნა ანგარიში და მასპინძლებმა მეორე ტაიმშიღა გაათანაბრეს — 1:1.

სხვათა შორის, ეს ბერაიას მეშვიდე საამსეზონო გოლია, თუმცა მისი „გიანჯა" დიდი ვერაფერი გუნდია, რაკიღა მეექვსე ადგილზე ბუდობს.

ალეკო გოგობერიშვილის „ბაკი" შინ 2:0 სძლია „გიანჯაბირლიის", ქართველმა ნახევარმცველმა კი პირველი გოლის ავტორს, ლატვიის ნაკრების ყოფილ ფორვარდ ანდრეი შტოლცერსს ჩააწოდა შედეგიანი კუთხური. „ბაკი" მეორე ადგილზეა და ქულით ჩამორჩება ლიდერ „ინტერს", რომელმაც გიორგი ადამიასა და ვალერი აბრამიძის „ნეფთჩისთან" 1:1 ითამაშა. „მენავთობეებმა" ბოლო წუთზე გაათანაბრეს.

სხვა? ლექსო ინწკირველის „კარვანი" მეოთხეზეა, თენგიზ სიჭინავას და ზაზა მედოევის „თურანი" კი ბოლო დროს ქულებს ფლანგავს და ადრე თუ ლიდერობდა, ახლა მეხუთეზე ჩამოქვეითდა.

**ლუკა თალაკვაძე**

პიტერ კროუჩმა და ჯიბრილ სისემ
ვერც კარში ჩამდგარ სტივენ ჯერარდს დაუმიზნეს

# სტივის სამიზნე აბა, გამარტყით, თუ ბიჭები ხართ

**ეს სახუმარო** ამბავია, მაგრამ მასში სიმართლეც ძევს და უწმაწურობაც.

მოკლედ, „ლივერპულის“ მორიგ ვარჯიშზე სტივ ჯერარდმა თავისი გავა მიუშვირა თანაგუნდელებს, თუ გაარტყამთო.

სასაცილო ის იყო, რომ ორმა მთავარმა ფორვარდმა, ჯიბრილ სისემ და პიტერ კროუჩმა გავას ბურთი ააცილეს, იქვე კი ხუმრობა გაისმა, პიტი არა თუ სტივის გავას, ბურთს ძროხის უკანალის ბანჯოსაც ვერ გააგრტყამსო. პიტერ კროუჩს წლეულს მართლაც წაუხდა მიზანი და „ლივერპულში“ გადმოსვლის შემდეგ გოლი არ გაუტანია. სისეც დაშლიგინებს მოედანზე, მაგრამ მეგოლეობით ვერ დაიკვეხნის.

სტივ ჯერარდმა კი იმდენი იოხუნჯა, რომ ბოლოს კროუჩმა ზურგზე შეისვა და ისე გააქანა გასახდელში.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ტერის აინტერესებს ირლანდია? რატომაც არა



ტერი ვენეიბლზს ირლანდიის ნაკრებს სთავაზობენ

**ტერი ვენეიბლზმა** განაცხადა, რომ ეგებ დაინტერესდეს კიდეც ირლანდიის ნაკრების მწვრთნელის თავისუფალი თანამდებობით.

ბუქმეიკერებს ირლანდიურ საქმეში ფავორიტად ჰყავთ 62 წლის ტერი მას შემდეგ, რაც კუნძულელები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავიდნენ და ბრაიან კერი თანამდებობიდან გადააყენეს.

„მე ბევრ წინადადებას ვიღებ — თქვა ვენეიბლზმა — მაგრამ, თუ რაიმე განსაკუთრებული იქნება, ვთქვათ ისეთი, როგორიც ირლანდიელთა თავკაცობაა, ნამდვილად დავფიქრდები“.

„სამყურათა“ სავარჯელზე ბევრ ცნობილ კაცს იწვევდნენ, ანდა გულისხმობდნენ, თუმცა, ადგილი კვლავაც ცარიელია. ვენეიბლზი კი თავისი გამოცდილებით, ინგლისისა და ავსტრალიის ნაკრებებით, „ტოტენჰემითა“ და „ბარსელონათი“, ცხადია, სასურველია.

მისი ბოლო სამუშაო განადგურებულ „ლიდსში“ იყო, რომელიც ტერიმ 2003 წლის მარტში დატოვა იმის გამო, რომ უფროსობამ ყველა ვარგისი ფეხბურთელი გაუყიდა. ის ახლა ტელეკომენტატორად მსახურობს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# გლეიზერი ბალაკს გაამდიდრებს

**„მანჩესტერ იუნაიტედს“** ისე ძლიერ სურს მიხაელ ბალაკის გადაბირება, რომ მზადაა, გერმანელი ფეხბურთელი პრემიერლიგის ყველაზე მსუყე ჯამაგირიან მოთამაშედ აქციოს. სავარაუდოდ, წელიწადში 6 მილიონ გირვანქას გადაუხდიან, თუ ტრანსფერი შედგა.

ამჟამად პრემერლიგის უძვირფასესი ფეხბურთელი რიო ფერდინანდია (5 მილიონ 500 ათასი გირვანქა), რომელსაც ფრენკ ლამპარდი ნახევარი მილიონით ჩამორჩება.

შეგახსენებთ, რომ მიხაელ ბალაკმა „ბაიერნთან“ კონტრაქტის გაგრძელება იუარა. მომავალ ზაფხულს იგი თავისუფალი აგენტი გახდება და ბავარიელები იანვარში ეცდებიან მის სარფიანად გაყიდვას, რათა მუქთად არ დაკარგონ. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ამერიკელი პატრონი მალკოლმ გლეიზერი გერმანელის სანაცვლოდ 30 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს.

მიხაელ ბალაკს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ზღაპრული კონტრაქტი გაუმზადა

მიუნხენის „ბაიერნმა“ ამასობაში როკე სანტა კრუზს 2009 წლამდე გაუხანგრძლივა კონტრაქტი. პარაგვაელი ფორვარდი 29 ოქტომბერს დაშავდა და ახლა საოპერაციოდ ამერიკაშია. ექიმის აზრით, შესაძლოა, სანტა კრუზმა სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშოს. უკეთეს შემთხვევაში, ფორვარდი აპრილისთვის გამოკეთდება.

მცველი ფილიპ ლამი, რომელსაც ტრავმის გამო ექვსი თვე გაუცდა, უკვე მომჯობინდა. მან „ბაიერნის“ მოყვარულთა გუნდში გუშინწინ ერთი ტაიმი ითამაშა და ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „არმინიასთან“, ალბათ განაცხადშიც იქნება.

ბოლოს კი ის ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ, სეზონის ბოლოს კონტრაქტები რომ უმთავრდებათ: ბიქსენტ ლიზარაზუ, ვილი სანიოლი, ოლივერ კანი, სებასტიან დაისლერი, მეჰმეთ შოლი, ზე რობერტო და ალი ქარიმი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ავსტრალია ქეიფრებს თამადა ჰიდინკია

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის უსარჩევი მტაპი. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი**

**ავსტრალია 1:0 დ.დ.(პენ.4:2, 1:0) ურუგვაი**

1:0 ბრეშიანო (35)

**ავსტრალია:** შვარცერი, ნილი, ვიდმარი, ჩიპერფილდი, პოპოვიჩი (კუელი 32), ემერტონი (სკოკო 111), გრელა, კულინა, ბრეშიანო (ალოიზი 95), ჩეპილი, ვიდუკა

**მწვრთნელი:** გუს ჰიდინკი

**ურუგვაი:** კარინი, ლუგანო, მონტერო (სოსა 80), დ. როდრიგესი, ვარელა, დიოგო, პაბლო გარსია, გ. როდრიგესი, რეკობა (ზალაიეტა 73), რეგუერო (ესტოიანოფი 97), რ. მორალესი

**მწვრთნელი:** ხორხე ფოსატი

**გაფრთხილება:** პოპოვიჩი, ბრეშიანო, ვიდმარი, რეგუერო, დიოგო, ემერტონი, დ. როდრიგესი, პაბლო გარსია, კიუელი, მორალესი

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

82 698 მაყურებელი

AFP სიდნეიდან

გუს ჰიდინკმა ავსტრალიელებს ნანატრი სიხარული განაცდევინა

**1974 წლის** შემდეგ პირველად, ავსტრალია კვლავ ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ოზებმა ოთხჯერ (1985, 1993, 1997, 2001) სცადეს პლეი ოფიდან გასვლა, მაგრამ ამაოდ. მეხუთე ცდა, გუს ჰიდინკის თამადობით, გამარჯვებით და მუნდიალის საგზურით დასრულდა.

აღარ უნდა მტკიცება იმას, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი თავისი საქმის უბადლო მცდოდნეა. მისი თავკაცობით „ნარინჯისფერები“ ევროპის ჩემპიონატის (1996) მეოთხედფინალში და მსოფლიოს ჩემპიონატის (1998) ნახევარფინალში გავიდნენ. ოთხი წლის წინ კი სამხრეთ კორეაც ნახევარფინალამდე მიიყვანა. რამდენიმე თვეა, რაც ჰიდინკმა ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელობა შეითავსა (პარალელურად „პსვ ეინდჰოვენშიც“ მუშაობს) და შედეგიც მალე მოიმკო.

გასულ შაბათს, მონტევიდეოში მარცხის შემდეგ, ურუგვაელთა თავკაცმა ხორხე ფოსატიმ თქვა, ავსტრალიელებს არ ჰყავთ თუნდაც ერთი ისეთი კლასის ფეხბურთელი, ჩემს ბიჭებს რომ სჯობდესო. გუს ჰიდინკმა სიდნეიში კოლეგას საპირისპირო დაუმტკიცა. მან ფოსატის ჰარი კიუელით უპასუხა, რომელმაც თავისი კარიერაში ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა.

კიუელი ძირითად შემადგენლობაში არ იყო, ის 32-ე წუთზე გრეგ პოპოვიჩის ნაცვლად შევიდა და მას შემდეგ, რაც პოპოვიჩი ერთი-ორჯერ შეცდა და ჰიდინკმა ცვლილება აღარ დაახანა, კიუელმა შესვლიდან სამ წუთში გოლი „გააკეთა“ — მარკ ვიდუკას მიაწოდა ბურთი, რომელსაც დარტყმის ნაცვლად ბრეშიანოსკენ პასი გამოუვიდა და ბრეშიანომაც საგოლედ დაჰკრა.

საგოლე მომენტები მანამდე სტუმრებსაც ჰქონდათ. ერთ-ერთი, ალბათ ყველაზე ნაღდი, ალვარო რეკობამ ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმის დასაწყისში რიჩარდ მორალესს შეეძლო ვატანა, როცა კარის წინ მარტო დატოვეს, უხეიროდ დაარტყა თავი ბურთს, რომელიც მიწიდან ასხლეტილი ნარიხას გადაევლო.

რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა თამაშის დასრულებამდე, ალბათ უფრო იძაბებოდა ვითარება და ფეხბურთელები რამდენჯერმე წაკიბკლავდნენ კიდეც. ესპანელ მსაჯ ლუის მედინა კანტალეხოს ყველელი ბარათის ამოსაღებად ხელი არ სჭირდებოდა, აქეთ-იქით უხეიროდ არიგებდა. დამატებული დროის ორივე ტაიმში იყო ნერვების წყვეტა, ჯავგური და კანტალეხოს ხშირი სტვენა. უამრავი ჯარიმის გამო ესპანელ მსაჯს თამაშის ხშირად შეჩერება უწევდა.

ბოლოს კი მივადექით მთავარს, ანუ ავსტრალიელ მეკარე მარკ შვარცერს — შვარცერმა დარიო როდრიგესისა და მარსელო ბალაიეტას პენალტები მოიგერია. ოზთაგან კი კაპიტანმა მარკ ვიდუკამ ვერ გაიტანა, გადამწყვეტი „ალავესის“ ფორვარდმა ჯონ ალოიზიმ შეაგდო. ეს იყო და, ალოიზი სპრინტერის სისწრაფით გაიქცა, მაგრამ პირველი მას მარკ ვიდუკა დაეწია, მერე კი — მთელი გუნდი. ავსტრალია მსოფლიოს ჩემპიონატის ნანატრ საგზურს ზეიმობდა.

„ეს უნდა მომხდარიყო — თქვა ალოიზიმ — ამაზე 31 წელი ვოცნებობდით“.

„ცოტა დრო გვქონდა გუნდის შესათამაშებლად, მაგრამ ფეხბურთელებმა ძალიან მოინდომეს და „გამარჯვება დაიმსახურეს“ — აღნიშნა ჰიდინკმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დასაკარგი არაფერია

## პრანდელის მილანი არ აშინებს

ჩეზარე პრანდელი „მილანს“ დაემუქრა

**დამდეგ** უქმეებზე საფეხბურთო ევროპაში მრავალი საინტერესო მატჩი იმართება. ერთ-ერთი მათგანი „არტემიო ფრანკიზე“ შედგება, სადაც ბრწყინვალედ მოთამაშე „ფიორენტინა“, რომელიც ამჟამად A-ში მესამე ადგილზეა, მასზე ერთი საფეხურით წინ მყოფ „მილანს“ უმასპინძლებს. ფლორენციელთა თავკაცმა ჩეზარე პრანდელიმ უკვე გააკეთა რამდენიმე საინტერესო კომენტარი. მისი თქმით, იები“ მხოლოდ მოგებაზე იფიქრებენ.

„ჩვენ კარგად გვესმის, რომ ზოგადად „მილანს“ ბევრ რამეში აქვს უპირატესობა, მაგრამ ერთი დიდი კოზირი ჩვენც გვაქვს — დასაკარგი არაფერია, ვიცით, რომ მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია, თანაც ფეხბურთი სიურპრიზებითაა სავსე. ყოველთვის არის მეტოქის პატივისცემა და დაფასება, მაგრამ არა შიში. მთელი გუნდი საბრძოლველადაა განწყობილი და იმედია, ეს ხასიათი კვირამდე გაგვყვება. ამ შეხვედრას განსაკუთრებულად უნდა მივუდგეთ. თუ ანდრეა პირლოს ჩაკეტვას მოვახერხებთ, ბევრად მეტი შანსი გვექნება“ — განაცხადა პრანდელიმ.

მოგეხსენებათ, ამჟამად „მილანის“ ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი ალბერტო ჯილარდინო და პრანდელი „პარმაში“ ერთად საკმაო ხანი მუშაობდნენ. ახალგაზრდა ფორვარდის აღმოჩენასაც სწორედ „იების“ თავკაცს მიაწერენ. თავად ჯილარდინომ ცოტა ხნის წინ თქვა, ფლორენციელებთან ძალიან გაგვიჭირდება, მათ ხომ პრანდელი წვრთნისო.

„ალბერტოს დიდ მადლობას ვუხდი კომპლიმენტებისთვის, მაგრამ მწვრთნელი მნიშვნელოვან წარმატებებს მაშინ აღწევს, როცა ფეხბურთელებიც ეხმარებიან. „ფიორენტინას“ კი სათანადო მოთამაშეები ნამდვილად ჰყავს“ — დასძინა პრანდელიმ.

ბოლოს ჩეზარე პრანდელიმ გუნდის ლიდერზე, სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირ ლუკა ტონიზეც ისაუბრა. როგორც იცით, „პალერმოს“ ყოფილ ფორვარდს ჩემპიონატის 11 მატჩში უკვე 13 გოლი მოუგროვდა.

ჩეზარე პრანდელი: „ბევრს უკვირს ლუკას ასეთი თამაში, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვჯეროდა მისი. როდესაც „პალერმო“ მას ყიდდა, არც ერთი გრანდი არ გამოეხმაურა და ჩვენც სასწრაფოდ მივიღეთ ზომები. თუ ბოლომდე სამართლიანები ვიქნებით, ისიც ვთქვათ, რომ მას უკეთ თამაშიც შეუძლია“.

**კოკი კანდელაკი**

ლუის ფერნანდესი „ბეითარის“ გენერალური მენეჯერია

# იერუსალიმი ლუის!

**იერუსალიმის** „ბეითარში“ სიახლეა: კლუბის მეპატრონემ არკადი გაიდამაკმა გენერალურ მენეჯერად ცნობილი ფრანგი მწვრთნელი და წარსულში საუცხოო ნახევარმცველი ლუის ფერნანდესი დანიშნა. ფერნანდესმა, რომელიც ადრე „პარი სენ ჟერმენსა“ და ბილბაოს „ატლეტიკს“ წვრთნიდა, გაიდამაკისგან დავალება მიიღო — „ბეითარი“ ევროპის მასშტაბით ძლიერ გუნდად უნდა ჩამოყალიბდეს. ისრაელში გადაბარგების წინ კი ფრანგი სპეციალისტი ყატარის „ალ რაიანის“ წვრთნიდა.

გაიდამაკის გეგმის თანახმად, ფერნანდესი კლუბის ყოველმხრივ განვითარებას უხელმძღვანელებს, ხოლო ერთი კვირის წინ დანიშნული ტექნიკური მრჩეველი ტონ კაანენი და მწვრთნელი გაი აზური, უშუალოდ ბურთაობის საკითხებს მიხედავენ.

**პაპუნა კედია**

# პრემიერლიგა დესაის უხმობს



მარსელ დესაის „პორტსმუთმა“ დაურეკა

**„პორტსმუთი“**, რომელმაც სეზონი ცუდად დაიწყო და დაცვაში პრობლემები აქვს, მარსელ დესაის გადაბირებას ცდილობს. გეცოდინებათ, 37 წლის ფრანგმა „ჩელსიდან“ წასვლის შემდეგ ყატარი მოიარა და სამშობლოში დაბრუნდა. ასაკის მიუხედავად, ბუცების გახდას არ აპირებს და ახალ გუნდს ეძებს.

ორი კვირის წინ ამბობდნენ, დესაი „სტრასბურში“ გადადისო, მაგრამ ახლა პრემიერლიგის ვარიანტი გამოუჩნდა და...

„მე საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელი ვარ — განაცხადა ფრანგმა — ჩემი გამოცდილება ნებისმიერ ევროპულ გუნდს წაადგება. მირჩევნია, რომ ინგლისში ვითამაშო“.

„პორტსმუთის“ მწვრთნელი ალენ პერენი კი აქანდაზზეა, რადგან გუნდი ცხრილში ქვევით ეშვება და ახლა მეთხუთმეტე ადგილზეა. ფრანგი შეეცდება, მარსელ დესაის გადაყვანის შანსი ხელიდან არ გაუშვას.

37 წლის ფეხბურთელმა ექვსი სეზონი შეალია „ჩელსის“.

„სხვა გუნდში თამაში ალბათ ცოტა გამიჭირდება, რადგან „ჩელსი“ ძალიან მიყვარს, კარიერის უდიდესი ნაწილი ხომ იქ გავატარე“ — აღნიშნა დესაიმ, რომელიც ყატარულ „ალ იტიჰადში“ ჩემპიონი გახდა, მაგრამ საფრანგეთში მალევე დაბრუნდა, ცოლშვილი მომენატრაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

ფრანჩესკო ტოტი „იუვენტუსს“ არ უფრთხის

# ტოტი არ გაჩუმდება

**„მე ვილაპარაკებ,** ყოველთვის ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ. სხვების რჩევას არ ვსაჭიროებ. კისერზე თავი ტყუილად არ მაბია. არჩევანს ყოველთვის ოვითონ ვაკეთებ და ახლაც ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ ჩავთვლი“ — ეს გაღიზიანებული ფრანჩესკო ტოტის სიტყვებია.

საქმე ისაა, რომ შაბათს „რომა“ — „იუვენტუსია“. ეს მატჩი კი ყოველთვის განსაკუთრებულად საინტერესო და დაძაბულია. ამჯერად ვითარების გამწვავება სწორედ ტოტიმ ითავა. რამდენიმე დღის წინ მან „რომას“ ყოფილი და „იუვენტუსის“ ამჟამინდელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო კიდევ ერთხელ საჯაროდ გამოლანძღა — მართალი კაცი არ არისო.

ამან, ცხადია, „იუვენტუსის“ გაღიზიანება გამოიწვია. ტურინელთა ჯაცე-პრეზიდენტმა რობერტო ბეტეგამ განაცხადა, ვითარებას უარესად ნუ გავამწვავებთ, ტოტის ვურჩევ, თავშეკავებულად მოიქცეს მატჩის ჩატარებამდე მინცო. შემდეგ ლილიან ტურამმა და ფაბიო კანავარომ რიბალები ზღვარგადასულ უხეშობაში დადანაშაულეს და იმედი გამოთქვეს, რომ ამჯერად ასე არ იქნება.

ტოტიმ კი ამ განცხადებებს ყურადღება არ მიაქცია და განაცხადა, ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვარ, მისი დამტკიცება შეიძლია და გაჩუმებას არ ვაპირებ.

და ბოლოს, რას ფიქრობს ფრანჩესკო ტოტი „იუვენტუსთან“ მატჩზე: „რა თქმა უნდა, მოვიგებთ“.

**კოკი კანდელაკი**

# VIVA BARCA!

## პრემიერ-მინისტრმა ორიანი თქვა

**ესპანეთის** პრემიერ-მინისტრმა ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ, რომელიც გეცოდინებათ, კატალონიური „ბარსელონას“ თავგადაკლული ქომაგია, განაცხადა, შაბათის „რეალ“ — „ბარსას“ ჩემი გუნდი 3:2 მოიგებსო.



ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო

„ელ კლასიკოს“ ყოველთვის დაძაბული ველოდები და თამაშის დროს ამქვეყნად ყველაფერი მავიწყდება. მჯერა, რომ შაბათს „ბარსელონა“ გაიმარჯვებს“ — განუცხადა გაზეთ „მარკას“ პირინეელთა პრემიერ-მინისტრმა. მისივე აზრით, მატჩის პირველი ტაიმი ფრედ, 2:2 მორჩება, მერე კი....

ერთი სიტყვით, მოახლოებულმა დიდმა „ელ კლასიკომ“ ესპანეთის მთავრობა ეტყობა სულ ააფორიაქა. ამასწინათ სოციალისტური პარტიის კონგრესზე დიდი შეხლა-შემოხლაც ყოფილა — ერთმანეთს „ბარსელონას“ ძველი ქომაგი როდრიგეს საპატერო და „ჭეშმარიტად მადრიდელი“, პარტიის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ალფრედო პერეს რუბალკაბა წაეკიდნენ. კამათში ჟურნალისტების, პარლამენტარებისა და ტელეოპერატორების მთელი არმადა ჩაერთო და კინაღამ გრანდიოზული სკანდალიც მოხდა. ნამდვილი მთავრობა და ქვეყნის პატრონები ესენი კი არა, ფეხბურთელები ყოფილანო — წერდნენ მეორე დღეს ოპოზიციური გაზეთები.

**ლადო ხომერიკი**

# გაბრაზებული, გაწბილებული, გაოცებული

**10 ნოემბრის „სარბიელში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით „ვან ნისტელროი ძაღლიშვილია“, გახლდათ ფრაგმენტი „არსენალის“ ყოფილი და „იუვენტუსის“ ამჟამინდელი ფრანგი ვარსკვლავის, პატრიკ ვიეირას წიგნიდან, რომელიც გასაყიდად ჯერ ინგლისშიც არ გაუტანიათ, თუმცა ნაწილ-ნაწილ გაზეთებში ბეჭდავენ. დღეს გთავაზობთ მეორე ფრაგმენტს, რომელშიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ამ ზაფხულის ამბებს, კერძოდ კი მისი „არსენალიდან“ წასვლას იგონებს**



პატრიკ ვიეირა „არსენალიდან“ ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინს გაუგდია

**„არსენალს“** ჩემს შესანარჩუნებლად თითი თითზე არ დაუდია. არ ვიცი, რისთვის ეწეოდნენ ეკონომიას, სხვა ფეხბურთელების შესაძენად თუ ახალი სტადიონის ასაშენებლად, მაგრამ გუნდიდან რომ წავედი, უმალ მათი გადაწყვეტილებაა, ვიდრე ჩემი. მოკლედ, რომ სდომოდათ, დღესაც მათი ფეხბურთელი ვიქნებოდი.

არადა, კარიერის ბოლომდე არსენალელობას ვაპირებდი. მეგონა, კიდევ სამი წლით გავაგრძელებდი კონტრაქტს და არ დაგიმალავთ, რომ ახალაშენებულ „ეშბარტონ გროუვზე“, პირველ მატჩში, კაპიტნობაზეც კი ვოცნებობდი, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც შეიცვალა.

იცით, როგორ მოხდა? არსენ ვენგერს ვესაუბრე ტელეფონით, მომავალი სეზონის გეგმებზე ვლაპარაკობდით და დავასრულე თუ არა ეს ლაპარაკი, „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარე, დევიდ დინი შემეხმიანა, შენი შეძენის სურვილი „იუვენტუსმა“ გამოთქვა, „არსენალს“ ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიცია არ აქვს და თუ გინდა, წადიო.

როგორ, არსენალს ჩემს წასვლადარჩენასთან დაკავშირებით პოზიცია არ ჰქონდა? კი მაგრამ, წინა წლებში, როდისაც უამრავი გუნდი, განსაკუთრებით კი მადრიდის „რეალი“ დაჟინებით ცდილობდა ჩემ ყიდვას, „არსენალს“ ურყევი დამოკიდებულება ჰქონდა — ვიეირა არ იყიდებაო და უცბად ნეიტრალურები გახდნენ?

ამრიგად, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ლონდონიდან წასვლის დრო ახლოვდებოდა. „არსენალს“ 29 წლის კაცისთვის ფანტასტიკური წინადადების შეთავაზება შეეძლო. წინა წლების მსგავსად რომ მომპყრობოდნენ, ულაპარაკოდ დავრჩებოდი, მაგრამ საამისო ნიშანიც არ მიმიღია.

ერთი სიტყვით, შვებულებიდან დაბრუნებულს, მეგობრებისგან უამრავი მესიჯი დამხვდა — „იუვენტუსზე“ მეკითხებოდნენ. სიმართლე გითხრათ, პირველ ეტაპზე ამ მესიჯებს დიდი ყურადღება არ მივაქციე, რადგან დაჟინებული ჭორები მანამდეც ყოფილა და ჭორებადვე დარჩენილა, მაგრამ ერთ დღესაც დინმა დამირეკა და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მკითხა, შენ რა გინდაო.

დავიბენი, მით უმეტეს, რომ დინმა დასძინა, „იუვენტუსის“ გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი უკვე ლონდონშია და შენი ტრანსფერის ამბის გარკვევას ელოდებაო“.

„ისინი ძალიან კარგ კონტრაქტს გთავაზობენ — მითხრა მან — ჩვენ კი ვალდებული ვართ, შენთან დაკავშირებულ ნებისმიერ წინადადებაზე საქმის კურსში ჩაგაყენოთ“.

„მესმოდა ეს სიტყვები და ვხვდებოდი, რომ ჩემ ზურგსუკან კონტრაქტი უკვე გაჩარხული იყო. თან, საქმე ისაა, რომ „არსენალი“ არასდროს ყოფილა ვალდებული, ფეხბურთელი მის შესახებ მიღებული წინადადების შესახებ გაეფრთხილებინა. აი, ამის შემდეგ კი, დინმა დასძინა, რომ კლუბი ნეიტრალურ პოზიციაზე იყო და ჩემ გადაწყვეტილებას ელოდა.

რას ვგრძნობდი? სიბრაზეს, გაწბილებას და გაოცებას ერთდროულად. ამ კლუბში ხომ ცხრა წელიწადი მქონდა გატარებული და კარგად ვიცოდი, რომ როდესაც „არსენალს“ რაიმე უნდა, კბილებით და ფრჩხილებით იბრძვის მის მოსაპოვებლად ან შესანარჩუნებლად. ერთი სიტყვით, კლუბს მართლა რომ ვდომებოდი, დარჩები თუ წახვალ შენ ნებაზე იყოსო, არ მეტყოდა.

შემდეგ, დინმა კიდევ გამიმეორა, რომ „იუვენტუსი“ გვარიან ფულს გამოდიოდა, მაგრამ ჩემთვის ეს არ იყო გადამწყვეტი. გადამწყვეტი გახლდათ ის, რომ „არსენალს“ ნეიტრალური პოზიცია ეკავა“.

| | | **ევროლიგა** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 785 | აეკ-უალგირისი | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| 22:45 | 786 | ოლიმპიაკოსი-ეფესი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 22:45 | 787 | მაკაბი-ციბონა | 1.03 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 23:45 | 788 | მილანი-პროკომი | 1.06 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 23:45 | 789 | ბამბერგი-სტრასბური | 1.55 | 12.00 | 2.00 | 1.37 | 1.00 | 1.71 |
| 23:45 | 790 | ბარსელონა-რუტასი | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 23:45 | 791 | ბენეტონი-ბოლონია | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 23:45 | 792 | პარტიზანი-რეალი | 2.90 | 12.00 | 1.35 | 2.33 | 1.00 | 1.21 |
| | | **ჩოგბურთი.კაცები.შანხაი** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 797 | ლიუბიჩიჩი-ნალბანდიანი | 1.50 | 2.40 | | | | |
| 15:00 | 798 | ფედერერი-კორია | 1.10 | 5.50 | | | | |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 696 | ვიტ.ციპკო-ჯ.შანე | 1.30 | 15.00 | 3.20 | | | |

# 50, როგორც ერთი

## ბესიკ ლიპარტელიანმა უკონკურენტოდ პრეზიდენტობა გაიხანგრძლივა

**ისე,** მოვლენათა სხვაგვარ განვითარებას ალბათ არც არავინ ელოდა, რაკი ლიპარტელიანს მოცილე არ ჰყოლია — ის პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი გახლდათ. აქედან გამომდინარე, რაც გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში ხდებოდა — ფედერაციის გენმდივნის განვლილი 4 წლის ანგარიში, პრეზიდენტის წინასაარჩევნო სიტყვა და პროგრამის პრეზენტაცია, რეგიონალური ფედერაციების ხელმძღვანელთა გამოსვლები — წმიდა წყლის ფორმალობა გახლდათ და მეტი არაფერი.

ერთადერთი საკამათო საკითხი საარჩევნო ხმათა გადანაწილებასა და ოდენობას უკავშირდებოდა და მისი წამომწყებიც, როგორც გაირკვა, ლიპარტელიანს უჭერდა მხარს.

...შესაძლოა, ეს ჩემი გამოსვლა კრიტიკულია და გაფიქრებინოთ, რომ მხარს არ გიჭერთ, მაგრამ მინდა, თავიდანვე გითხრათ, ბატონო ბესო, ხმას თქვენ გაძლევთ — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ანზორ საკანდელიძემ, დიდი ზურაბ საკანდელიძის ძმამ და ვეტერან კალათბურთელთა კავშირის წევრმა — ეს საარჩევნო სისტემა, რომლითაც დღეს თქვენ უნდა იყაროთ კენჭი, არაა გამართული. წინა არჩევნებში ვეტერანთა კავშირს 30 ხმის უფლება ჰქონდა, ახლა კი მხოლოდ ერთადერთ მანდატს ვფლობთ. პროტესტის ნიშნად აქ დღეს არავის არ უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ასე რომ მომხდარიყო, ლამაზი არ იქნებოდა და მე გეახელით. მინდა, გირჩიოთ, რომ ახალ, უფრო დემოკრატიულ საარჩევნო პროცედურაზე მუშაობა პრეზიდენტად არჩევის პირველი დღიდანვე დაიწყოთ.

ბესიკ ლიპარტელიანი კვლავ საქართველოს კალათბურთის საჰეთმპყრობელია

*ბესიკ ლიპარტელიანი ქართულ კალათბურთს კიდევ ოთხი წლით უხელმძღვანელებს. ფედერაციის აქამდელი პრეზიდენტი გუშინდელ საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე ერთხმად აირჩიეს კიდევ ერთი ვადით. ისეთი ერთსულოვნება, რომელიც კენჭისყრის დროს აღინიშნა, კალათბურთის ფედერაციის აქამდელ არჩევნებში არ ყოფილა: 50 დელეგატიდან ერთიც არ წასულა ლიპარტელიანის წინააღმდეგ და თავიც არავის შეუკავებია — ყველამ ბატონ ბესიკის მისცა ხმა*

კალათბურთის ფედერაციის საყრილობო პრეზიდიუმი

კიდევ ერთი შენიშვნა მაქვს: ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის შესარჩევ ციკლში გამოდიოდა და ზევით ასანაცვლებლად რომ უცხოელი სპეციალისტის მოწვევა გვჭირდება, ეს ჩვენთვის, ვეტერანი კალათბურთელებისთვის სამარცხვინო და მიუღებელია".

ანზორ საკანდელიძის ამ რეპლიკამ მცირე კამათი გამოიწვია, რომელიც მალევე კი განიმუხტა, მაგრამ აღნიშნა მაინც აუცილებელია.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ ბატონ ანზორს ის პროცედურა განუმარტა, რისი მიხედვითაც ყრილობის დელეგატები შეირჩნენ:

„კალათბურთის ფედერაცია არის კავშირი, რომელიც შედგება იურიდიული და ფიზიკური პირებისგან. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ანუ პრეზიდენტს, მხოლოდ კავშირის წევრები ირჩევენ. ვეტერანთა კავშირში ბლომად ადამიანია გაერთიანებული, მაგრამ თქვენი ორგანიზაცია არის კალათბურთის ფედერაციის ერთ-ერთი იურიდიული პირი, რომელსაც ერთი საარჩევნო ხმა აქვს. თქვენ ცალ-ცალკე რომ დარეგისტრირებულიყავით ფედერაციაში, თითოეული იქნებოდით ფიზიკური პირი თითო-თითო საარჩევნო ხმით".

ამაზე ანზორ საკანდელიძე მთლად გაცხარდა, რა ვიცოდით, თორემ ვეტერანთა კავშირის წევრები სათითაოდ დავრეგისტრირდებოდით ფედერაციაში და ყველას ჩვენ ჩვენი ხმა გვექნებოდაო. მან ფედერაცია ინფორმაციის დამალვაში დაადანაშაულა, თუმცა ლაშა ძიძავასგან სამართლიანი პასუხი მიიღო: ეს ყველაფერი გარკვევით ეწერა ფედერაციის წესდებაში და თუ არ იცოდით, ჩვენი ბრალი არ არისო.

ეს იყო და ეს, დანარჩენმა ამბებმა თავის ქნევასა და ლოიალურ ატმოსფეროში ჩაიარა.

ვერ იყო და, გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა ყველა ის საქმე გაიხსენა, რაც კალათბურთის ფედერაციამ განვლილი 4 წლის განმავლობაში გააკეთა. აქ ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ბესიკ ლიპარტელიანის გუნდმა ამ პერიოდის განმავლობაში მართლაც დიდი სამუშაო გაწია და არაერთ კარგ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი.

რატიშვილმა ხანგრძლივი გამოსვლა რომ ჩაამთავრა, დღის წესრიგის მიხედვით კამათი გაიმართა, რომლის შესახებაც უკვე გიამბეთ, ხოლო სხვა „მოკამათეებს" გამოსვლები სულ სხვა თემებისა თან:

რეგიონალური ფედერაციების წარმომადგენლებმა თავიანთ პრობლემებზე ისაუბრეს და ბესიკ ლიპარტელიანს დახმარებისთვის წინასწარ გადაუხადეს მადლობა, რა თქმა უნდა, მხარდაჭერაც აღუთქვეს.

შემდეგ უშუალოდ ბესიკ ლიპარტელიანი წარსდგა დელეგატების წინაშე თავისი საარჩევნო პროგრამით. მოკლედ რომ ვთქვათ, მან თავისი პრიორიტეტები ამ სფეროებზე გაანაწილა:

— ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები.

— ეროვნული ნაკრების B დივიზიონიდან A-ში ანაცვლება და შემდეგ 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა.

— ბავშვთა კალათბურთი.

— მუნიციპალური კლუბების ნამოყალიბების ხელშეწყობა.

არჩევნების დროც დადგა და დელეგატებმა მის პროცედურას, ცახურული ყოფილიყო თუ ღია, ენჭი უყარეს. ყველა ღია არჩევნების მომხრე აღმოჩნდა და როცა ბესიკ ლიპარტელიანის მხარდაჭერით ხმის მიცემა სთხოვეს, დარბაზი გადაწითლდა. დელეგატის მოწმობა ამ ფერისა გახლდათ და ის ყველამ ერთად რომ მოიმარჯვა, ნამაოდ ლამაზი სანახავი გამოვიდა.

ეს იყო და, ყველა ტაშით ძველმა ძველი პრეზიდენტის მეორე ვადით არჩევას. ბესიკ ლიპარტელიანმა ყველას გულწრფელი მადლობა გადაუხადა და იმ გამყრების წევრები დაასახელა, რომელიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში ქართული კალათბურთის ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებს: ბესიკ ლიპარტელიანი, ლაშა ძიძავა, მერაბ რატიშვილი, [illegible] ხომერიკი, მურმან ქურციძე, [illegible] მელაძე, ვაჟა ქუთათელაძე, [illegible] ნაცვლიშვილი, კახა ნუცუბიძე.

აი, ეს ხალხი განსაზღვრავს ქართული კალათბურთის ამინდს კიდევ 4 წელიწადს, თუმცა, რა თქმა უნდა, მთავარი მოქმედი პირი ამ ამბავში ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი იქნება.

**ირაკლი პერტაია**
**გურამ დოლენჯაშვილის**
*ფოტოები*



ყრილობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი

50, როგორც ერთი

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოს" ყოფილი მოთამაშე, მწვრთნელი, კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრი და სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე

**ზაზა ბახტაძრიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

საკალათბურთო კლუბი თბილისის „დინამო" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი კალათბურთელის, მწვრთნელის, კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარის,

**ზაზა ბახტაძრიძის**

გარდაცვალების გამო

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დეტროიტი იგებს და იგებს



AFP დალასიდან

„დალასმა“ მოსაგებად 19-ქულიანი დეფიციტი აღმოფხვრა

15 ნოემბერი

**სან ანტონიო 103:79 ატლანტა**

**სან ანტონიო:** ჯინობილი (24), დანკანი (23 ქულა, 7 მოხსნა), პარკერი (18 ქულა, 8 პასი), ობერტო (8 ქულა, 8 მოხსნა), ბ. ბოუენი (6), ნესტეროვიჩი (4), ვან ექსელი (6), სანდერსი (5 ქულა, 5 მოხსნა), უდრიჰი (5 ქულა, 4 პასი), მარქსი (2), მოჰამედი (2)

**ატლანტა:** ზაზა ფაჩულია (6 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ელ ჰარინგტონი (23 ქულა, 9 მოხსნა), ჯ. ჯონსონი (12 ქულა, 3 მოხსნა), ლიუ (7), ჩილდრესი (2 ქულა, 6 მოხსნა), ს. სტუდემაიერი (11 ქულა, 3 მოხსნა), ედვარდსი (8 ქულა, 7 მოხსნა), ჯ. სმიტი (5 ქულა, 3 მოხსნა), აივი (1)

**დალასი 83:80 დენვერი**

**დალასი:** ნოვიცკი (35 ქულა, 6 მოხსნა, 3 დაფარება), დენიელსი (17 ქულა, 6 მოხსნა), დიოპი (6 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება)

**დენვერი:** ენტონი (24), ა. მილერი (17 ქულა, 5 პასი), კემბი (11 ქულა, 9 მოხსნა)

**ფილადელფია 104:92 ტორონტო**

**ფილადელფია:** აივერსონი (34 ქულა, 12 პასი), ვებერი (28 ქულა, 16 მოხსნა, 5 პასი), სალმონსი (16 ქულა)

**ტორონტო:** ვილანუევა (27 ქულა, 13 მოხსნა), ბოში (19 ქულა, 17 მოხსნა)

**ორლანდო 85:77 შარლოტი**

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (21 ქულა, 20 მოხსნა), სტივენსონი (16), ბატიე (11 ქულა, 12 მოხსნა)

**შარლოტი:** ბოგანსი (18), მეი (15 ქულა, 10 მოხსნა), ოკაფორი (8 ქულა, 6 მოხსნა)

**კლივლენდი 114:99 ვაშინგტონი**

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (37 ქულა, 10 მოხსნა), ჰიუზი (22 ქულა, 8 პასი), მარშალი (16)

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (26 ქულა, 12 მოხსნა), არენასი (18 ქულა, 5 მოხსნა, 8 პასი), კ. ბატლერი (14)

**ნიუ ჯერსი 109:99 სიეტლი**

**ნიუ ჯერსი:** კრსტიჩი (25 ქულა, 8 მოხსნა), კარტერი (19), ჯეფერსონი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**სიეტლი:** ლიუისი (29 ქულა, 6 მოხსნა), ოლენი (19 ქულა, 6 მოხსნა), რიდნური (13 ქულა)

**მაიამი 109:102 ნიუ ორლეანი**

*ძირითადი დრო 90:90*

**მაიამი:** უეიდი (25 ქულა, 10 პასი), ა. უოლკერი (21 ქულა, 6 მოხსნა), ჯ. უილიამსი (17)

**ნიუ ორლეანი:** ჯ. ბრაუნი (24 ქულა, 12 მოხსნა), ვესტი (16 ქულა, 10 მოხსნა), ჰოლი (16 ქულა, 10 პასი)

**დეტროიტი 115:100 ბოსტონი**

**დეტროიტი:** ბილაპსი (25 ქულა, 10 პასი), ჰამილტონი (25 ქულა), რ. უოლესი (20 ქულა, 14 მოხსნა)

**ბოსტონი:** რ. დევისი (31 ქულა, 5 მოხსნა, 9 პასი), პირსი (23 ქულა, 7 მოხსნა)

**მინესოტა 89:94 ჰიუსტონი**

**მინესოტა:** გარნეტი (25), შერბიაკი (12), ოლოვაკანდი (10 ქულა, 6 მოხსნა)

*ცაქიტიშვილი განაცხადში არ იყო*

**ჰიუსტონი:** მაქგრეიდი (25 ქულა, 8 მოხსნა), იაო მინი (13 ქულა, 7 მოხსნა), ელსტონი (13)

**საკრამენტო 119:83 იუტა**

**საკრამენტო:** ბიბი (25), სტოიაკოვიჩი (21), უელსი (15 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

**იუტა:** პალასიო (19 ქულა, 6 პასი), დ. უილიამსი (12)

**კლიპერსი 109:85 მილოუკი**

**კლიპერსი:** კასელი (23 ქულა, 9 პასი), ბრენდი (20 ქულა, 11 მოხსნა), მაგეტი (21)

**მილოუკი:** რედი (15), ფორდი (15)

**მორიგ** შეხვედრაში ისევ დამარცხდა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოუქზი“, ჩვენებურმა კი წლეულს ყველაზე უფერული მატჩი ჩაატარა. მან მხოლოდ 6 ქულა და ორი მოხსნა დააგროვა. გარდა ამისა, ქართველმა მხოლოდ ოცი წუთი ითამაშა.

ზაზას ასეთ სუსტ თამაშს თავისი ახსნა მოეძებნება — მისი გუნდი ხომ მოქმედ ჩემპიონსა და ამასთანავე ლიგაში დღესდღეობით ყველაზე ძლიერ „სან ანტონიო სპურზს“ ხვდებოდა. ყველაფერთან ერთად, ტეხასელები დაცვაში თამაშის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.

არადა, „ქორებმა“ კარგად დაიწყეს და სან ანტონიოს პირველი მეოთხედი 13 ქულის სხვაობით მოუგეს. ამაში დიდი წვლილი ფორვარდმა, ელ ჰარინგტონმა შეიტანა, რომლის ანგარიშზეც პირველ მეოთხედში 22 ქულა იყო.

სან ანტონიო იმიტომაც არის ჩემპიონი, რომ მას ნებისმიერ თამაშში შეუძლია გადაწყობა. გრეგ პოპოვიჩმა თავის გუნდს დაცვაში სიხისტის მომატება დაავალა, ჰარინგტონს კი ლიგის საუკეთესო პერსონალური მეურვე ბრიუს ბოუენი მიამაგრა და ამ უკანასკნელმაც დანარჩენ სამ მეოთხედში ატლანტას ლიდერს მხოლოდ კინკილა ქულა ჩააგდებინა.

შესაბამისად, ტეხასელებმა მორიგი გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში, ატლანტა კი ტორონტოს საკმაოდ უსიამოვნო კომპანიაში რჩება — ამ გუნდებს წლეულს ერთი მოგებაც კი არა აქვთ აქტივში.

გუშინ ითამაშა ნიკოლოზ ცქიტიშვილის მინესოტამაც, თუმც ბოლო მატჩებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ქართველი არც ამჯერად იყო განაცხადში, „მინესოტამ“ კი მორიგი მარცხი იწვნია, თანაც შინ, ამჯერად ტრეისი მაქგრეიდისა და იაო მინის ჰიუსტონისგან.

სხვა მატჩებიდან კი გამოსაყოფია დალასის მიერ დენვერთან საშინაო შეხვედრაში 19-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრა. ამაში ყველაზე დიდი წვლილი, რაღა თქმა უნდა, ტეხასელთა ულაპარაკო ლიდერმა — დირკ ნოვიცკიმ შეიტანა, რომელმაც ამ მატჩში სეზონის უმაღლესი, 35 ქულა მოიხვეჭა.

გერმანელს კარგად მიეხმარნენ ახალგაზრდა მარკის დენიელსი (17 ქულა) და წლეულს აყვანილი ცენტრი დესაგანა დიოპი, რომელმაც ორივე ფარზე შშვენივრად იბრძოლა (16 მოხსნა) და 6 დაფარებაც დააყოლა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ბოლო წამებზე კარმელო ენტონის წინააღმდეგ გაკეთებული ბლოკ-შოტი იყო, როცა დალასი მხოლოდ ერთ ქულას იგებდა. ამის შემდეგ დერელ არმსტრონგმა ორი ჯარიმა ჩააგდო და ნოვიცკიმ და კომპანიამ წლეულს შინ მეორე გამარჯვება მოიპოვეს.

მაიამის შაკილ ონილის გარეშე საკმაოდ უჭირს. ფლორიდელები ძლივს გადაურჩნენ უფერულ ნიუ ორლეანთან საშინაო მარცხს. მხსნელად თავიანთი მეორე ლიდერი დუეინ უეიდი მოევლინათ. თამაშის დამთავრებამდე თიოქმის 2 წუთით ადრე მაიამი 90:83-ს აგებდა, როცა დარჩენილ დროში უეიდმა შვიდი უპასუხო ქულა ჩააგდო და მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა შეძლო. აქ უკვე მაიამის სამ ნომერს გერი პეიტონი და ჯეიმს პოუზიც წაეხმარნენ და თამაში საბოლოოდ თავის სასარგებლოდ დაამთავრეს.

დეტროიტი კი მოგებათა სერიას აგრძელებს — მათ ზედიზედ მეშვიდე მატჩში იმარჯვეს.

უნდა ითქვას, რომ ფლიპ სონდერსის ხელში მიჩიგანელები უფრო შემტევ კალათბურთს აჩვენებენ, მაგრამ ეს სულაც არ უშლით ხელს, რომ ლიგაში ჯერჯერობით ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდის სახელი ჰქონდეთ. დეტროიტის მორიგ მსხვერპლი კი ბოსტონი გახდა.

პისტონზის წარმატება ამჯერად მათი უკანა ხაზის დიდებულმა თამაშმა განაპირობა — ჰამილტონმა და ბილაპსმა 25-25 ქულა დააგროვეს. ამას რაშიდ ვოლესმა 20 დააყოლა და მიჩიგანურ გუნდს ბოსტონთან არანაირი პრობლემა არ შექმნია.

მოიგო ლებრონ ჯეიმსის კლივლენდმაც, რომელმაც რამდენიმე დღის წინ სან ანტონიოს დამჩოქებელ ვაშინგტონს შანსი არ დაუტოვა. „კავალერებმა“ კარგად ამოკეტეს დედაქალაქელთა ლიდერი გილბერტ არენასი, ხოლო ჯეიმსმა კიდევ ერთი ბენეფისური აჩვენა, როცა 37 ქულა ჩააგდო და ზედ 10 მოხსნაც დაუმატა. გარდა ამისა, წლეულს პირველად ითამაშა თავისი ძველი გუნდის წინააღმდეგ კლივლენდელთა კიდევ ერთმა ლიდერმა ლარი ჰიუზმა, რომელმაც ვაშინგტონს 22 ქულა „მიუძღვნა“.

**კახა ლომაჯვილი**

# ათლეტური ტრიუმფი ატლანტიკ-სიტიში

*ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ატლანტიკ-სიტიში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ძალისმიერ ორჭიდსა (წოლჭიმი+ამონევა) და ცალკეულ მოძრაობებში. ქართველი ათლეტები სპორტის ამ სახეობაში უკვე კარგა ხანია, უძლიერესებად მიიჩნევიან და თავიანთი ძალა ამერიკაში ერთხელაც დაამტკიცეს. საქართველოს ნაკრები ათლეტიზმის ფედერაციის პრეზიდენტ ნიკოლოზ სარალიძის ხელმძღვანელობით თბილისში ხვალ ბრუნდება. ატლანტიკსიტური გამოსვლის შესახებ კი თავად ნაკრების თავკაცმა მოგვწერა.*

*ზურაბ ჭავჭანიძე (საქართველოს ათლეტიზმის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):*

*ძალისმიერ ორჭიდში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ: ზურაბ ძამუკაშვილი (82,5 კგ-მდე წონითი კატეგორია) და კახა დათუკაშვილი (125კგ), რომლებმაც შესაბამისად 520 და 460 კილოგრამი დაძლიეს. ზურაბმა წოლჭიმში მეოთხე დამატებით მისვლაზე აჭიმვაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 207,5 კგ, ხოლო ამონევაში მისი შედეგი (330 კილოგრამი) 47,5 კგ-ით აღემატება წინა მსოფლიოს რეკორდს*

**წოლჭიმში** მსოფლიოს რეკორდებით გაიმარჯვეს: ვლადიმერ ნაზლაიძემ (56 კგ) — 140 კგ და ზაურ ჯავახიშვილმა (60 კგ) —163,6 კგ. რომელიც საუკეთესო იყო როგორც ახალგაზრდებს შორის (23 წლამდე), ისე ღია პირველობაში. ასევე მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა ვაჟა გივიშვილმაც (100 კგ) — 220 კგ.

მათ გარდა გამარჯვება მოიპოვეს: ავთანდილ მამალაძემ (125 კგ), ხვიჩა მამედოვმა (ზემძიმე წონაში) და ზურაბ ჭავჭანიძემ (125 კგ), რომელმაც ვეტერანებს შორის იყოჩაღა. მეორე ადგილი დაიკავა ბექა მაზანიშვილმა (110 კგ).

წესია, მსოფლიოს ჩემპიონთა შორის ოთხი საუკეთესო ჯილდოდება სპეციალური დაფით, რომელზეც ამოტვიფრულია წარწერა — „საუკეთესო ამწევი“. ოთხი დაფიდან სამი ქართველმა ათლეტებმა მოიპოვეს: ერთი — ზაურ ჯავახიშვილმა, ხოლო ცნობილი ორჭიდელი ზურაბ ძამუკაშვილი საუკეთესო მიღწევებისთვის ერთბაშად ორი დაფით დაჯილდოვდა.

ბიცეპსებით წონის აწევაში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ზემძიმეწონოსანი გერონტი ჯმუხაძე.

ძალისმიერ მრავალჭიდში უძლიერესი მამაკაცის გამოსავლენად პროგრამაში იყო: ავტომობილის ჯოთრევა, ლოდების გადატანა, ჩასაკილოგრამიანი საბურავების გადაბრუნება და სხვა. აქ მსოფლიოში უძლიერესი მამაკაცის წოდება ალეგო ინწკირველმა მოიპოვა.

ზურაბ ძამუკაშვილი და ბექა მაზანიშვილი თელავის „შევარდენს“ წარმოადგენენ, ხოლო დანარჩენი ათლეტები — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტკლუბ „ამირანის“ წევრები არიან.

ამერიკაში გუნდს უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს ბორის სარალიძემ, ვეფხია ჯმუხაძემ, თეძურ სალიაშვილმა, გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ, საქართველოს კონსულმა, ქართულმა საოჯახო სტომომ, გაზეთმა „ამჟამად“ და მსოფლიოს ათლეტიზმის ფედერაციამ.

## ოლიმპიზმი

# პუსანის აგზიცია და პეკინის სამზადისი

**სამხრეთ** კორეის ქალაქ პუსანის მერმა განაცხადა, რომ მისი ქალაქი 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის თავის კანდიდატურას წამოაყენებს.

ამასობაში პეკინში დაიწყო 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილი რადიომაუწყებლობის საერთაშორისო ცენტრის, მთავარი პრესცენტრისა და ოლიმპიური სოფლის მშენებლობა.

საორგანიზაციო კომიტეტის მეთაურ ცზიან სიაოუიას თქმით, დღეისთვის უკვე მზადაა 26 ოლიმპიური სპორტული კომპლექსის პროექტი, რომელთაგან 11-ის მშენებლობა დაწყებულია.

ამ მიზნით სპონსორული დახმარებების საერთო მოცულობა 2,363 მილიარდ დოლარს შეადგენს.

# არგენტინული დერბი ჩინეთში

## ფედერერი პირველი ნახევარფინალისტია

**მასტერსის თასი**
**შანხაი. ჩინეთი**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 4 450 000 $**

**წითელი ჯგუფი**

**როჯერ ფედერერი (შვეიცარია) - ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) - 6:3, 2:6, 7:6; დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) - გილერმო კორია (არგენტინა) - 7:5, 6:4**

**წლევანდელი** მასტერსის თასმა ბევრი რამ დაკარგა - სხვადასხვა მიზეზთა გამო აქ ბევრი ფავორიტი არ იმყოფება,მაგრამ სანამ როჯერ ფედერერი იქ არის, ტურნირს ლამაზი თამაში და მაყურებლის ინტერესი არ მოაკლდება.

გუშინ კი ყოველივე ამას დაძაბული ორთაბრძოლაც დაემატა.

ბევრი ივან ლიუბიჩიჩისა და როჯერ ფედერერის შეხვედრას მოუთმენლად ელოდა — ხორვატი მართლაც დიდებულ ფორმაშია სეზონის ბოლოს და რამდენიმე ტურნირიც მოიგო, ფედერერი კი ნებისმიერ ვითარებაში სახიფათოა — ჯანმრთელიც და დაშავებულიც. ამიტომაც ჩოგბურთის მოყვარულები ამ შეხვედრისგან ბევრს მოელოდნენ და გაუმართლაც კიდეც.

ლიუბიჩიჩისა და ფედერერის შეხვედრა სწორედ ისეთი გამოდგა, როგორიც წლის შემაჯამებელ ტურნირს ეკადრება — იყო ლამაზი გათამაშებები, მაღალი დონის ჩოგბურთი და ბევრი ემოცია.



**როჯერ ფედერერი**

**დავიდ ნალბანდიანი**

AFP შანხაიდან

პირველი სეტი შვეიცარიელმა უკეთ დაიწყო. მან მალე გაუკეთა ბრეიკი ლიუბიჩიჩს, შემდეგ კარგადაც აწოდებდა და ამ უპირატესობის შენარჩუნებით შეძლო სეტის მოგება.

ხორვატმა თამაში თანდათან გამოასწორა. მეორე პარტიიდან მან თავის მოწინააღმდეგეზე ზეწოლა გააძლიერა. კარგად უტევდა უკანა ხაზიდან და მიღებაზეც მშვენივრად თამაშობდა. ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ ხორვატმა ორჯერ აიღო ფედერერის მოწოდება და სეტებში ანგარიში გაათანადრა.

გადამწყვეტ სეტში ინიციატივა კვლავ ფედერერმა აიღო, მალე დაწინაურდა და 5:4-მდე ყველაფერი იმ სცენარით მიჰყავდა, როგორც თვითონ აძლევდა ხელს. აქ შვეიცარიელს თავის მოწოდებაზე უკვე სამი მატჩ-პოინტი ჰქონდა და თითქოს ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ არა — ლიუბიჩიჩმა საოცარი მოთმინება გამოავლინა და ამ მძიმე ვითარების მიუხედავად, შეძლო ბრეიკის გაკეთება.

საბოლოოდ, ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც ფედერერმა კვლავ სამი მატჩ-პოინტი მოიპოვა და ამჯერად ხელიდან აღარ გაუშვა თავისი უპირატესობა.

თამაშის შემდეგ შვეიცარიელმა თქვა, რომ ამ მატჩში ბრძოლას ელოდა:

„ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ველოდი. ბევრი ვიბრძოლე... მოგება მოგებაა, მნიშვნელობა არ აქვს, ორ სეტში იქნება თუ სამში“.

ლიუბიჩიჩი კი მაინცდამაინც დამწუხრებული არ ჩანდა:

„ის (ფედერერი) არ არის საუკეთესო ფორმაში. მისი თამაში არ იყო ჩვეულებისამებრ მწვავე, მაგრამ ეს იმას [illegible] ნიშნავს, რომ აჯობებ[illegible] საუკეთესო თამაში მეჩვენებინა და ეს თითქმის საკმარისი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, მხოლოდ თითქმის“

ამ მოგებით ფედერერმა ნახევარფინალში გასვლა გაინაღდა, ხოლო თავისი მოგებათა სერია 33-მდე გაახანგრძლივა.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში არგენტინული დერბი გაიმართა, რომელშიც დავიდ ნალბანდიანმა აღვილად დაამარცხა გილერმო კორია და ნახევარფინალში გასვლის შანსიც შეინარჩუნა.

ნალბანდიანის ეს გამარჯვება არავის გაჰკვირვებია. გარდა იმისა, რომ კორია მაგარსაფარზე მაინცდამაინც კარგად არ გამოიყურება, წლეულს სეზონის ბოლოს იგი ძალზე ცუდ ფიზიკურ ფორმაშია, რაც თავისთავად დაღს ასვამს მის თამაშს.

ნალბანდიანმა კი კარგად ითამაშა, რაც იქიდანაც ჩანდა, რომ 7-ჯერ გაუკეთა ბრეიკი თავის მოწინააღმდეგეს და თითქმის ორჯერ ნაკლები უნებლიე შეცდომა დაუშვა.

ასე რომ, ნალბანდიანი ნახევარფინალში გასასვლელად იკან ლიუბიჩიჩს შეხვდება — სწორედ ეს თამაში გაარკვევს ამ ჯგუფიდან მეორე ფინალისტის ვინაობას.

**კახა ლომაშვილი**



15 ნოემბერი

**ვაშინგტონი 4:3 ტამპა**

*0:0 2:1 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

**0:1 მოდინი (25), 0:2 ფედოტენკო (27), 1:2 კლაიმერი (39), 1:3 მოდინი (47), 2:3 მიუირი (50), 3:3 ოვეჩკინი (59), 4:3 გადამწყვეტი ბულიტი: ოვეჩკინი**

**რაც** გინდათ, თქვით, მაგრამ ნჰლ-ის ახალბედებისაგან ჯერჯერობით ალექსანდრე ოვეჩკინი უფრო შთამბეჭდავად ასპარეზობს, ვიდრე სიდნი კროსბი. ყოველ შემთხვევაში, გადარჩენილი თამაშებისა და გადამწყვეტი შაიბების გატანაში „პიტსბურგის“ ვუნდერკინდი ვერანაირად ვერ შეედრება რუსს. ბულიტების სერიებში რომ ოვეჩკინს ბადალი არ ჰყავს, ცხადია, თუმც ამჯერად უფრო მის მიერ ძირითად დროში გატანილზე უნდა ვთქვათ. 59-ე წუთზე, მიუხედავად ორი მცველის წინააღმდეგობისა, ოვეჩკინი მაინც შეიჭრა მეტოქის ზონაში და მოუხერხებელი პოზიციიდან ისე დაარტყა, რომ მეკარეს არანაირი შანსი არ დაუტოვა. ბულიტებში კი ოვეჩკინმა მორიგი საფირმო ილეთი გამოიყენა და გუნდს გამარჯვება მოუტანა.

**ტორონტო 2:1 რეინჯერსი**

*1:0 0:1 1:0*

**1:0 მაკეიბი (19), 1:1 იაგრი (27), 2:1 მაკეიბი (44)**

**წარმოიდგინეთ,** რომ რიცხობრივ უპირატესობაში ყველაზე ხეირიანად „ტორონტოს“ მცველი ბრაიან მაკეიბი თამაშობს. მას შემდეგ, რაც მან მორიგი 2 შაიბა მიითვალა, აქტივში უკვე რიცხვრავლობაში მოგროვებული 17(!) ქულა ჩაიწერა.

**ოტავა 1:2 კაროლინა**

*0:0 0:2 1:0*

**0:1 უიტნი (21), 0:2 კომოდორი (40), 1:2 ალფრედსონი (44)**

## რეგულარული ჩემპიონატი

# რუსის საფირმო ილეთი

**ალექსანდრე ოვეჩკინი „ტამპა ბეისთან“ გატანილ შაიბას ზეიმობს**

AFP ვაშინგტონიდან

**როგორც** ჩანს, „ოტავას“ ფენომენალური თავდასხმის გაჩერების რეცეპტს მხოლოდ „კაროლინა“ ფლობს. წლიური სამი მარცხიდან ორი მასპინძლებმა სწორედ „ქარიშხლებთან“ მატჩებში იწვნიეს, თანაც ამჯერად ოტაველებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს (წინა შეხვედრა 2:3 წააგეს).

**მონრეალი 4:3 ფლორიდა**

*2:0 1:0 0:3 1:0*

**1:0 ზედნიკი (12), 2:0 ბეგინი (14), 3:0 კოივუ (33), 3:1 კემპბელი (43), 3:2 იოკინენი (44), 3:3 უაისი (56), 4:3 კოივუ (65)**

**ბუფალო 4:1 ნიუ ჯერსი**

*1:1 1:0 2:0*

**0:1 გომესი (7), 1:1 დიუმონი (10), 2:1 კემპბელი (28), 3:1 დრური (49), 4:1 ბრიარი (59)**

**ნეშვილი 3:2 ლოს ანჯელესი**

*2:1 0:1 1:0*

**0:1 ბელანჟე (4), 1:1 კარია (15), 2:1 ტიმონენი (20), 2:2 კოუენი (29), 3:2 ჰოლი (52)**

**ყველაფერი** გენიალური მარტივია. „ნეშვილის“ თავკაც ბარი ტროცის თქმით, მის გუნდს რიცხვმრავლობაში 30-ზე მეტი კომბინაცია შეუმუშავებია, მაგრამ ერთიც არა აქვს ბოლომდე დახვეწილი. ამიტომაც გუნდი კვლავ უძველეს და უმარტივეს ხერხს დაუბრუნდა — შორიდან დარტყმა და დამატებაზე თამაში. სწორედ მარტივმა გაჭრა. სამი შაიბიდან ორი მასპინძლებმა რიცხვმრავლობაში შეაგდეს.

## ფიოდოროვი ცისფერშაკეტიანი გახდა

**ჯერ** კიდევ სამი წლის წინ სერგეი ფიოდოროვი ჩემპიონ „დეტროიტის“ რიგებში ასპარეზობდა და მისი სხვა კლუბში ყოფნა ყველას წარმოუდგენლად მიანდა, დღეიდან კი რუსი ლიგის უსუსტეს გუნდად მიჩნეული „კოლუმბუსის“ წევრია.

რას იზამ, ასეთია ჰოკეისტის ბედი, თუმცა, თავის დროზე მის ტალენტს ოდნავ მეტი შორსმჭვრეტელობა რომ გამოეჩინა, იქნებ სერგეი დღესაც „წითელფრთიანთა“ შორის ყოფილიყო. თუმც ეს სულ სხვა ისტორიაა, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ სეზონი ფიოდოროვმა „ანაჰაიმში“ დაიწყო, მაგრამ მას აშკარად არ წაუვიდა თამაში. ჯერ იყო და, ტრავმა მიიღო, ხოლო დაბრუნების შემდეგ ჩატარებულ 5 მატჩში მხოლოდ ერთი პასი მიითვალა. ასე რომ, ტრეიდი გარდაუვალი იყო.

ახლა „კოლუმბუსში“ მას ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა ფორვარდ რიკ ნეშთან შეამჩნევება მოუწევს და იქნებ ახალი მრისხანე ტანდემის ამოქმედების მომსწრენიც გავხდეთ, მით უმეტეს, რომ ნეში ეს-ესაა გამოჯანმრთელდა, ხოლო „ცისფერშაკეტიანების“ მთავარი პრობლემა სწორედ შემტევი პოტენციალის უკმარისობაა.

„ის ძალიან ძვირადღირებული მოთამაშეა, მაგრამ ჩვენ თავს მაინც კარგად ვგრძნობთ, ვინაიდან ეჭვი არ გვეპარება ჩვენს არჩევანში“ - თქვა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა დუგ მაკლინმა.

ჩვენ კი დავძენთ, რომ ფიოდოროვის ხელფასი წელიწადში რ,08 მილიონს შეადგენს.

**სამველ ღარიბიანი**

სხდომის მონაწილენი

სხდომის პრეზიდიუმი

# ერთი კაცი რას გახდება

## ჩვენ და მივიწყებული ეროვნული სახეობები

*გუშინ საქართველოს ფიზკულტურის აკადემიაში ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის პირველი სხდომა გაიმართა.*

*ეს ასოციაცია, რომელიც არსებობის სულ რამდენიმე თვეს ითვლის, მიზნად ისახავს ძველი ქართული სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინებასა და განვითარებას*

**სხდომა** ასოციაციის პრეზიდენტმა დიმიტრი დუნდუამ გახსნა და ვრცლად ისაუბრა სპორტის ძველი სახეობების: ცხენბურთის, ლახტის, ცურვისა და სხვათა განვითარების გზებზე.

„ეს საქმე უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდების გაჯანსაღებას ემსახურება. რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს სპორტის იმ სახეობების მოძებნა, რომლებიც თითქმის აღარავის ახსოვს. არადა, თაობები მიდის და ყოველივე დავიწყებას ეძლევა.

ამ საქმეს მხოლოდ ერთი კაცი ვერ გააკეთებს. საჭიროა, რომ ყველამ, ვისაც ეს საქმე გვეხება, ერთად ვითანამშრომლოთ.

დახმარება არამარტო მთავრობისა და სპოტის შესაბამისი სამსახურებისგან გვინდა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ საქმეში ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ფსიქოლოგების როლი, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმეში თუ სახელმწიფო მხარდაჭერა არ გვექნება, სხვადგვარად ვერაფერს გავხდებით.

სხდომას კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი ესწრებოდნენ. მათ თავიანთ გამოსვლაში ერთხმად დაუჭირეს მხარი ასოციაციას და დახმარებას შეპირდნენ.

*ლერი ხაბელოვი:* „ეს ასოციაცია დაახლოებით 100 სპორტის სახეობას აერთიანებს. ჩვენ ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ და ნელ-ნელა ავაღორძინოთ ეს სახეობები, ამაში კი დიდი როლი მთავრობამ უნდა შეასრულოს, რადგან მხოლოდ ჩვენ წარმატებას ვერ მივაღწევთ“.

მთავრობის სახელით მოსაუბრე თამაზ თევზაძეს დიდი დაპირებები არ აღუთქვამს. მიუხედავად ამისა, სხდომაზე დამსწრე დელეგატები მაინც კმაყოფილნი ჩანდნენ და იმბობდნენ, რომ მომავალს იმედიანად უყურებენ.

**ლეონიდ მაისურაძე**



# სახალისო ჭადრაკი

## სალაღობო ამბები მეთორმეტე ჩემპიონის ცხოვრებიდან

გარი კასპაროვი ხშირად მიუთითებდა კარპოვზე, თუ ვინმეა კარიერისტი, ეგ არის, კომპარტიის ნებიერაო. ნაღდად ასე იყო, მაგრამ კარპოვს ამის საწინააღმდეგოდ ერთი ისეთი არგუმენტი ჰქონდა, ქვას გახეთქდა: კარპოვი პარტიაში 28 წლისა შევიდა, როცა უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იყო, კასპაროვი კი 18 წლისა გახდა პარტიის წევრი. ჰოდა, ვინ არის ჩვენ ორს შორის კარიერისტიო, მიამიტურად კითხულობდა ხოლმე კარპოვი, რაზეც კასპაროვი პასუხობდა, რა ვქნა, კარპოვის მერე უპარტიოს ჩემპიონობას ვინ დამანებებდაო.

სხვათა შორის, სმისლოვი, ტალი, პეტროსიანი და სპასკი, არასდროს ყოფილან პარტიის წევრები

### მერსედესი

**1977 წელს** მოსკოვში სამადასამი მერსედესი დადიოდა. ერთი, რაღა თქმა უნდა, მანქანების საარაკო კოლექციის მქონე ძვირფას ლეონიდ ილიჩს ეკუთვნოდა, მეორეთი ვლადიმირ ვისოცკი დადიოდა, მესამე კი ანატოლი კარპოვს ჰყავდა.

თუმცა ერთი შეცდომა ავტოინსპექციაში მაინც მოუვიდათ: მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონს 11-ნ ნომერი მისცეს, რომელიც კარპოვს ყოველ მომდევნო მანქანაზე გადაქონდა. სამაგიეროდ, კარპოვს საუთი მისცეს, რომელშიც ეწერა, ამ მანქანის შემოწმების უფლება არავის აქვსო.

### შურისმაძიებელი

**როცა** რობერტ ფიშერმა 1975 წელს კარპოვთან მატჩზე უარი თქვა, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ავტომატურად რუს მოჭადრაკეს მიენიჭა. ერთი წლის მერე კარპოვი და ფიშერი ტოკიოს ერთ-ერთ სასტუმროში ვადაეყარნენ ერთმანეთს და კომერციულ მატჩზე ჩამოაგდეს სიტყვა. ხომ იცით, რა დროც იყო, ლაპარაკი წესიერად არც იყო დაწყებული, რომ იაპონიაში საბჭოთა კავშირის საელჩომ ყველაფერი იცოდა და მოლაპარაკება ჩაშალა. საელჩოში ამბის მიმტანი კი საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი ნიკიტინი გახლდათ.

კარპოვმ, რა თქმა უნდა, გაბრაზდა და ყველაფერი იღონა, ნიკიტინი მოეხსნათ. მაშინ ნიკიტინმა დაიფიცა, შურს ვიძიებო. და ყმაწვილი გარი კასპაროვის გაწვრთნას შეუდგა. მერე რაც მოხდა, კარგად იცით, კასპაროვმა კარპოვს ტიტული ჩამოართვა.

### იმ პოლექციონერს გაუმარჯოს

**ეგვიპტეში** მოგზაურობისას მავანი მოვაჭრე კარპოვისთვის უძველესი პაპირუსის შესაღებას ლამობდა ძალიან დიდ თანხად, თუმცა პაპირუსი, მიხვდებოდით, არც ისე ძველი იყო, როგორი ფასიც ჰქონდა. ბანანის ქერქიდან იყო დამზადებული და ერთ კვირაში დალპებოდა, როცა ფალსიფიკატორის რწმენით, მყიდველი სამშობლოში იქნებოდა დაბრუნებული და ვეღარაფერს ეტყოდა.

კარპოვმა ამეებისა არაფერი იცოდა, თუმცა უგუმანია, მთლად ნაღდი პაპირუსი არ უნდა იყოსო. გამყიდველი კი არ ეშვებოდა და ერთი ასეთი არგუმენტიც მოიშველია, აბასწინათ რუს კოლექციონერს მივყიდე პაპირუსი. და რამდენიმე დღის მერე მომადგა და მადლობა გადამიხადა, დამიწერა კიდეც, მადლობელი რომ იყოო.

ამ არგუმენტმა გაჭრა, კარპოვმა ხელი ფულის ამოსაღებად ჩაიყო ჯიბეში, მაგრამ მაინც თქვა, აბა, იმ რუსი კოლექციონერის სამადლობელი წერილი მაჩვენეო. ეგვიპტელმა უჩვენა და... რუსულად ეწერა: „ამ ნაბიჭვრისგან არაფერი იყიდოთ!“

ეგვიპტელს რუსული რომ ცოდნოდა, კარპოვი კარგა დიდი თანხით იზარალებდა.

**არტემ გეშაძოვი**



ვლადიმერ კრამნიკი

# ტოპალოვს მილიონი მოუნდა, კრამნიკს — ერთობა

**პლანეტის** ახალი ჩემპიონი ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ, რუს ვლადიმერ კრამნიკთან თამაშს ჯერჯერობით არ აპირებს.

ტოპალოვ-კრამნიკის მატჩის მოსაწყობად გერმანულმა კომპანია UNIVERSAL EVENT PROMOTION-მა 1,4 მილიონი დოლარი გამოყო, საიდანაც მოჭადრაკეებს 500-500 ათასი ერგებოდათ, თუმც...

კომპანიამ ორივე მონაწილეს წერილი გაუგზავნა, სადაც სოლიდურ საპრიზო ფონდს დაჰპირდა და თამაშის ჩასატარებელი თარიღიც დაუთქვა. შეხვედრა გაისად 25 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე უნდა ჩატარებულიყო, სადაც დიდოსტატები 14 პარტიას გაითამაშებდნენ, მატჩის გამარჯვებული კი მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად გამოცხადდებოდა. ეს ყველაფერი ფიდესთან იყო შეთანხმებული.

კრამნიკ-კონტრაქტის ყველა პუნქტს დათანხმდა, ტოპალოვი კი — არა.

ბულგარელის მენეჯერმა გერმანულ კომპანიას მოსთხოვა, რომ ტოპალოვისთვის ერთი მილიონი დოლარი გადაეხადა და ფიდეს ანგარიშზეც 300 ათასი ჩაერიცხა. UNIVERSAL EVENT PROMOTION-მა ეს მოთხოვნა არასერიოზულად ჩათვალა და მათ თავისი პირობები გაუმეორა, თუმც კვლავ უარი მიიღო. შედეგად მატჩი ჩაიშალა.

„ჩვენ გახლეჩილი საჭადრაკო სამყაროს გაერთიანება გვსურდა — განაცხადა კრამნიკმა — ფიდემ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ამ საქმით დიდად არ არის დაინტერესებული და გაერთიანება კვლავ გადაიდო“.

**ლაშა გეგეჭკორი**

# მაკვზ მენია

ეს არც ვარსკვლავია და არც კალათბურთელი. ეს დალასელი შესვენებაზე გამართული ჯეილი „მავზ მენია“, რომელიც ბატუტით დაფრინავს ფართა შორის, როცა „მავერიკი“ შინ თამაშობს ხოლმე. ამან იფრინა, მასპინძლებმა კი დუნვერს მოუგეს 83:80.



AFP დალასიდან

# მს სად ყოფილა

აგე, სად ჩასულა მაიკლ ჯექსონი. საამიროებში რომ უდაბნოს რალი მიმდინარეობს, იქ ყოფილა და ამ რალის თავმჯდომარის, ძველი მრბოლის მუპამედ ბენ სულეიმანისგან საჩუქრებიც მიუღია. მოტოთა შორის რბოლა კი, უკვე მეოთხედ, ფრანგმა სირილ დეპრეემ მოიგო.



AFP დოჰადან

# ქალები დოჰადან

ბევრს კი ეცადა უკრაინელი ოლგა კოროტა (სურათზე), მაგრამ 75 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მაინც ვერ აჯობა ჩინელ რეკორდსმენ ლიუ ჩუნჰონგს. ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი კი ყატარის დედაქალაქ დოჰაში მიმდინარეობს.




AFP ტოკიოდან

# მალგოჟატამ აჯობა

მსოფლიოს დიდ ჩემპიონ ქალთა თახი ტოკიოში თამაშდება. გვარიანად ირჯება ევროპის ჩემპიონი ჰოლონეთის ნაკრები, რომელმაც ხუთ ხელში მასპინძელ იაპონელებს აჯობა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ვარცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრინელი
პასუხისმგებელი რედაქტორი ალექსანდილ ჭურასაშვილი
ტექნიკურ რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კოტა ინასარიძე, ილია ნინოაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ნინო კოტორაშვილი, ლადო ხიჩერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ალალაძე, ოთარ მალლაკელიძე, რამაზ ბერეკაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბაღრი ყეფილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ ჭერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge